

რეგიონული მოხსენება

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობისა
და სოციალური მდგომარეობის შესახებ

2016 წელი

ქ.ბათუმი

მომზადა: ნ.სურმანიძემ

ლ.გორგილაძემ

ზ.თენიშვილმა

კ.ნაკაიძემ

მ.ფალავამ

ნ.ნიუარაძემ

ჯანმრთელობის მდგომარეობა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

აჭარა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული ნაწილია, რომელიც ქვეყნის სამხრეთ-დასავლეთში მდებარეობს. ჩრდილოეთიდან ესაზღვრება აჭარა-გურიის, სამხრეთიდან შავშეთის, აღმოსავლეთიდან არსიანის ქედი, ხოლო დასავლეთით ეკვრის შავი ზღვა. აჭარის ფართობი დაახლოებით 2990 კვ.კმ-ია, საქართველოს ტერიტორიის 4,3%. რეგიონის მოსახლეობა შეადგენს 401 402 -ს.

აჭარის ფიზიკურ-გეოგრაფიულ და ეკონომიკურ-გეოგრაფიულ მდებარეობას დიდი მნიშვნელობა აქვს. ფიზიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის დადებითი მხარეა აჭარის განლაგება სამხრეთ განედებში, დედამიწის სუბტროპიკული ზონის ჩრდილო პერიფერიულ ნაწილში (მისი კოორდინატებია ჩ.გ. $41^{\circ} 26''$ - $41^{\circ} 53''$ და ა. გ. $42^{\circ} 33''$ და $42^{\circ} 35''$), სადაც ჩამოყალიბებულია ტენიანი სუბტროპიკული ჰავა, რომელიც ხელს უწყობს სუბტროპიკული სოფლის მეურნეობის და ტურიზმის განვითარებას. აჭარის ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობის ძირითადი ნიშნებია: 1. აქვს პირდაპირი გასასვლელი შავ ზღვაზე; 2. მდებარეობს ევროპისა და აზიის გზების გასაყარზე; 3. აჭარაზე გადის ტრანსევრაზიის საერთაშორისო მნიშვნელობის სატრანსპორტო კომუნიკაციები; 4.გამოსადეგი ეკონომიკურ-გეოგრაფიული მდებარეობა ხელს უწყობს ტურიზმის განვითარებას.

შავი ზღვა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე დიდი ჩაკეტილი წყლის მასივია, სანაპირო ზოლის სიგრძე დაახლოებით 4000 კმ-ია, საიდანაც საქართველოს 320 კმ ეკუთვნის. აჭარის ზღვის სანაპირო ზონა დაახლოებით 57 კმ სიგრძისაა.

აჭარაში 1564 დიდი და პატარა მდინარეა, რომელთა სიგრძე 5 კმ-ზე მეტია. მდინარეთა საერთო სიგრძე დაახლოებით 8600 კმ შეადგენს. აჭარის მდინარეები მდინარე ქვაბლიანის და მისი შენაკადების გარდა (კასპიის ზღვის აუზი) ყველა შავი ზღვის აუზს მიეკუთვნება.

ტბები აჭარაში გვხვდება როგ

ორც დაბლობ, ისე მთიან ზოლში. მათი სიგრძე და სიგანე რამდენიმე ათეული მეტრია. ზღვისპირა ტბებია: გონიო, უსახელო, ნურიგელი და სხვა, ხოლო მთიანი აჭარის ტბებია: მწვანე ტბა, ბოძაური, წიფლნარის, ჩირუხის და სხვა.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებობს 6 კურორტი და 17 საკურორტო ადგილი. რეგიონის კურორტებია: ქობულეთი, ციხისძირი, მახინჯაური, ბათუმი, ბეშუმი, მწვანე კონცხი.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 42 დასახელების მინერალური წყალია.

საქართველოს რეგიონებს შორის აჭარის დაცული ტერიტორიების სისტემა ერთ-ერთი ყველაზე განვითარებულია როგორც ფართობით, ისე ფორმირების სისტემურობითა და ტრანსლოკალური ხასიათით. დაცული ტერიტორიები აქ თავისი სტატუსების მრავალფეროვნებითაც გამოირჩევა: სახელმწიფო ნაკრძალი, ეროვნული პარკი, ნაკრძალი აღკვეთილი, დაცული ლანდშაფტი, ბუნების ძეგლი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა ადმინისტრაციულად ერთ თვითმმართველ ქალაქად და 5 მუნიციპალიტეტად იყოფა: ქალაქი ბათუმი - აჭარის ადმინისტრაციული ცენტრი - ფართობი 64.94 კვ.კმ; მოსახლეობა - 179 669; ბათუმი დღეისათვის სრულყოფილი სატრანსპორტო, სამრეწველო, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, საკურორტო, ტურისტული, საქმიანი და საფინანსო ცენტრია.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი – ფართობი - 356,4 კვ.კმ; მოსახლეობა - 60 970 ადამიანი; ქობულეთის მუნიციპალიტეტი -ფართობი 741,3კვ.კმ, მოსახლეობა - 87 964 ქედის მუნიციპალიტეტის ფართობი - 459 კვ.კმ მოსახლეობა - 20 330; შუახევის მუნიციპალიტეტის ფართობი - 588 კვ.კმ მოსახლეობა - 20 010; ხულოს მუნიციპალიტეტის ფართობი - 710 კვ. კმ მოსახლეობა - 32 549;


დემოგრაფიული სტატისტიკა:

საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საშუალო წლიური რიცხოვნება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაცია) შეადგენს 401 402 ადამიანს, მათ შორის: 205 803 ქალი (51%), 195 599 კაცი (49%). მოსახლეობის 45% (179 669 ადამიანი) ცხოვრობს ქალაქში, ხოლო 55% სოფლად. 0-18 წლამდე ასაკის პოპულაცია 23%-ია (90881), 60 წლის ზემოთ ასაკობრივი ჯგუფი 15% შეადგენს (61717).

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ზოგიერთი კატეგორიის მოსახლეობის რაოდენობა და პროცენტული
მაჩვენებელი (31.12.2015წ)**

№		ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო		აჭარა	
1	მოსახლეობის რაოდენობა სულ	179 669		87 964		60 970		20 330		20 010		32 549		401 402	
ა	0-5 წლამდე	13632	8%	6128	7%	4464	7%	1325	7%	1275	6%	2258	7%	29082	7%
ბ	5-12 წლამდე	15843	9%	7499	9%	5230	9%	1764	9%	1639	8%	3147	9%	35122	9%
გ	12-18 წლამდე	10750	6%	5529	6%	4242	7%	1508	7%	1708	9%	2940	10%	26677	7%
დ	18–60 წლამდე	111510	62%	54953	62%	38768	63%	12428	61%	12089	61%	19056	58%	248804	62%
ვ	60 წლის ზემოთ	27934	15%	13855	16%	8266	14%	3305	16%	3299	16%	5058	16%	61717	15%

**აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის შემადგენლობა ასაკისა და სქესის
მიხედვით (2015 წ)**



ცხრილი გვიჩვენებს, რომ აჭარის მოსახლეობის უდიდესი ნაწილი მოდის შრომისუნარიან მოსახლეობაზე 18-60 წლამდე 248 804 (62%), საქართველოს მიხედვით ეს მაჩვენებელი 64%-ია. აჭარაში შრომისუნარიან ასაკზე უფროსია მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16%, საქართველოს მიხედვით კი ეს მაჩვენებელი 19%-ს შეადგენს.

შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (15დან -60 წლის)

აჭარა (მოსახლეობა- 401 402)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	8987	21531	17099	30950	29292	26967	134826
კაცი	10165	22789	17791	31475	28223	23743	134186
სულ	19152	44320	34890	62425	57515	50710	269012
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	11%	9%	15%	14%	13%	67%

ბათუმი (მოსახლეობა- 179 669)

ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	3533	9292	7889	14906	13786	13396	61614
კაცი	4044	9325	7668	14111	12025	10867	58040
სულ	7577	18617	15557	29017	25811	24263	120842
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	4%	10%	8%	16%	14%	13%	67%

ქობულეთი (მოსახლეობა- 87 964)

ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1874	4618	3726	6451	6379	5978	28570
კაცი	2121	4974	3828	7061	6511	5506	30001
სულ	3995	12592	7554	13512	12890	11484	58571
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	14%	9%	15%	15%	13%	67%

ხელვაჩაური (მოსახლეობა- 60 970)

ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1381	3322	2573	4559	4489	3737	20061
კაცი	1576	3734	2944	4902	4542	3834	21532
სულ	2957	7056	5517	9461	9031	7571	39808
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	12%	9%	16%	15%	12%	65%

ქედა (მოსახლეობა- 20 330)

ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	506	1118	838	1513	1390	1170	6535


კაცი	570	1182	930	1596	1471	1150	6899
სულ	1076	2300	1768	3109	2861	2320	13434
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	5%	11%	9%	15%	14%	11%	66%

შუახვევი (მოსახლეობა- 20 010)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	628	1190	759	1338	1226	1051	6192
კაცი	695	1390	934	1584	1479	940	7022
სულ	1323	2580	1693	2922	2705	1991	13214
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	7%	13%	9%	15%	13%	9%	66%

ხულო (მოსახლეობა- 32 549)							
ასაკი	15-18 წ	19-25 წ	26-30 წ	31-40 წ	41-50 წ	51-60 წ	15-60 წ
ქალი	1005	1991	1314	2183	2022	1635	10210
კაცი	1159	2184	1487	2221	2195	1446	10692
სულ	2224	4175	2801	4404	4217	3081	20902
% (მოსახლეობის საერთო რაოდენობიდან)	7%	13%	9%	15%	13%	10%	64%

შრომისუნარიანი მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურა (აჭარა 2015 წელი)

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობა სულ – 401 402




ქალაქი, მუნიციპალიტეტი	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
აკარა	376016	379900	382565	386194	387954	390174	360526	376536	385970	393772	396760	399634	401402
ბათუმი	121806	12300	124176	124846	125478	126534	121289	130940	154930	169120	172594	176928	179669
ქობულეთი	88063	88900	89453	90292	90641	91094	82844	86752	86610	87604	87770	88090	87964

ხელგაყარი	90843	91900	92450	93551	94111	94978	86952	85472	69385	62721	62653	61538	60970
ქედა	20024	20100	20171	20317	20433	20498	18579	1915	20786	20691	20586	20407	20330
შუახევი	21850	22000	22122	22370	22438	22257	19437	20416	20646	20320	20125	20075	20010
ხელო	33430	34000	34193	34818	34853	34813	31425	33141	33613	33316	33032	32596	32459

აჭარის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2001-2015 წლები)

აჭარის მოსახლეობის გეოგრაფიული სტრუქტურა (2015 წელი)



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ყველაზე მაღალი ბუნებრივი ნამატი დაფიქსირდა 1986 წელს (5 544 - მაჩვენებელი 14,9), ყველაზე დაბალი 2003 წელს (1 622 - მაჩვენებელი 4,2). 2004 წლიდან დაიწყო შობადობის მატების ტენდენცია. 2012 წელს - დაიბადა 5693 ახალშობილი (მ.შ. სამშობიარო ქსელში 5661 ახალშობილი, ბინაზე-32), 2013 წელს - 6004 (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 5993 ახალშობილი, ბინაზე-11), 2014 წელს დაიბადა - 6483 (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 6476 ახალშობილი, ბინაზე-7).

2015 წელს რეგიონში დაიბადა 6652 ბავშვი (მ.შ. სამშობიარო ქსელში დაიბადა 6643 ახალშობილი, ბინაზე-9), მათ შორის 6596 ცოცხლადშობილი და 56 მკვდრადშობილი, საქართველოს სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ინფორმაციით აჭარის რეგიონის მკვიდრია (იურიდიული მისამართის შესაბამისად) 6176 ახალშობილი. შობადობის მაჩვენებელი 1 000 მოსახლეზე 15,3. მონაცემები, შობადობის ამ უკანასკნელი მონაცემისა და საცხოვრებელი ადგილის გათვალისწინებით დემოგრაფიული დინამიკა აჭარის რეგიონისთვის მოცემულია ცხრილში:

დემოგრაფიული მონაცემები, აჭარა, 2015წ

ქალაქი,	დაბადება	გარდაცვალება	0-5 წლამდე	0-5 წლამდე
---------	----------	--------------	------------	------------

მუნიციპალიტეტი	დაბადება	მ.შ.მკვდ რადშობ ილი	სულ	მ.შ.0-1 წ	0-5 წ	ასაკის კონტიგენტი	ასაკის გარდაცვალები ს მაჩვენებელი (1 000-ზე)
ბათუმი	2747	55	1418	16	18	13 632	1,32
სხვა რეგიონის მკვიდრი	420						
ქობულეთი	1315	1	828	9	13	6128	2,12
ხელვაჩაური	1040	0	499	11	13	4464	2,91
ქედა	318	0	172	6	6	1325	4,53
შუახევი	298	0	217	4	4	1275	3,14
ხულო	514	0	258	6	6	2258	2,66
აჭარა	6652	56	3392	52	60	29 082	2,06

2015 წელს 5 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა 1000 ცოცხლადშობილზე რეგიონისათვის შეადგენს 9,1-ს, საქართველოსათვის აღნიშნული მაჩვენებელი 2014 წლისათვის სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მონაცემებით 9,3-ია.

0-1 წლამდე ბავშვთა სიკვდილობა
საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ინფორმაციის თანახმად

წლები	აჭარა		ბათუმი		ქობულეთი		ხელვაჩაური		ქედა		შუახევი		ხულო	
	აბსოლ იტური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსოლ იტური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსო ლიტ ური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე	აბსო ლიტ ური	მარვენებ ლი 1000 დაბადებ ულზე
1989	183	23,1	69	31,0	35	20,2	35	18,5	10	18,9	16	26,2	18	17,4
1990	161	21,2	87	41,1	41	2 0,0	11	28,0	15	7,0	16	4,0	15	18,1
1991	170	22,5	70	33,1	35	19,1	40	21,3	7	17,2	6	12,1	12	14,6
1992	200	27,4	96	48,8	15	8,5	45	26,3	17	41,3	9	16,8	18	19,6
1993	239	35,8	121	68,2	33	20,8	47	28,6	15	40,2	14	35,0	9	10,0
1994	192	30,5	76	42,5	26	17,8	60	37,9	9	38,2	12	33,5	9	14,3
1995	145	26,2	81	49,9	8	7,2	19	12,9	2	5,8	21	46,2	14	28,0
1996	129	26,2	86	54,0	–	–	16	14,4	4	13,9	7	29,8	16	24,8
1997	125	24,6	45	31,5	15	17,0	30	23,4	9	26,0	13	33,5	13	17,5
1998	114	24,1	62	38,7	6	6,8	10	8,7	9	29,4	10	28,9	17	37,8
1999	95	23,1	65	44,0	5	71,0	5	5,0	8	29,6	7	21,8	5	14,7
2000	68	15,1	52	33,6	3	3,6	6	5,8	4	15,2	1	3,1	2	3,7
2001	63	14,2	44	27,6	1	1,3	3	3,0	5	18,9	6	20,9	4	7,8
2002	48	11,0	31	19,3	1	1,3	1	0,9	4	14,9	5	21,6	6	13,0
2003	42	10,6	34	21,3	–	–	1	1,0	–	–	5	24,3	2	5,2
2004	81	18,1	57	33,6	2	2,4	–	–	4	16,6	2	8,8	16	33,0
2005	69	16,8	54	33,9	1	1,3	2	2,2	3	11,0	1	5,3	8	18,4
2006	45	10,3	43	25,9	–	–	–	–	2	8,6	–	–	–	–
2007	46	18,3	40	21,6	–	–	3	2,9	–	–	1	5,7	2	5,3
2008	38	6,9	33	14,7	3	2,7	–	–	1	4,3	–	–	1	2,2
2009	69	11,2	16	5,4	19	18,1	16	12,4	6	26,7	4	18,6	8	20,3
2010	60	9,8	17	9,3	14	9,7	16	10,1	2	5,9	1	2,8	10	17,5
2011	51	9,3	9	4,5	15	11,6	17	13,6	2	6,2	2	9,1	6	15,9
2012	64	11,4	14	5,6	11	9,6	15	15,4	3	11,6	2	7,5	19	39,8
2013	53	9,2	18	6,9	13	10,3	12	12,8	2	7,9	3	12,2	5	10,4
2014	69	11,39	26	9,76	14	10,28	9	9,18	1	3,46	9	32,7	10	20,5
2015	52	8,42	16	5,9	9	6,8	11	10,5	6	18,8	4	13,4	6	11,6

2015 წლის საჯარო რეესტრის ეროვნული ბიუროს ინფორმაციით 0–1 წლამდე ასაკის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ბავშვთა სიკვდილიანობა შეადგენს 52–ს, (რომელთა ნაწილის ფაქტიურ საცხოვრებელს წარმოადგენს სხვა რეგიონი). აჭარის სამედიცინო დაწესებულებებიდან მოწოდებული ინფორმაციით 0–1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობა შეადგენს 43–ს, მ.შ. ბინაზე –2 (ხელვაჩაურისა და შუახევის მუნიციპალიტეტში).


ბოლო 10 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალი ბავშვთა სიკვდილობის მაჩვენებელი დაფიქსირდა 2007 წელს (18,3), ხოლო ყველაზე დაბალი - 2008 წელს (6,9). მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ მომზადებულ 2009 წლის მოხსენებაში "ჯანმრთელობის დაცვის მდგომარეობის შესახებ ევროპაში" 2006 წლის მონაცემებით 0-1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილობა ევროპის რეგიონში შედგენს 7,3, დსთ-ს ქვეყნებში - 12,8, საქართველოში - 15,8.

სსიპ დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ინფორმაციით 2014 წლის მდგომარეობით 0–1 წლამდე ასაკის ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებელი საქართველოში შეადგენს 8,2–ს, აჭარის საშუალო მაჩვენებელი 2015 წლისათვის 8,4–ია (2015 წლისათვის რეგიონის სამედიცინო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის გათვალისწინებით კი აღნიშნული მაჩვენებელი – 6,5-ია).

2015 წელს მე–3 და მეტ ბავშვზე მშობიარობათა რიცხვი შეადგენდა 775–ს, რაც საერთო მშობიარობათა 12%–ია. 2014 წელს სტაციონარული მონაცემების მიხედვით იკლო მე–3 და მეტ ბავშვზე მშობიარობის რაოდენობამ და 689 შეადგინა, რაც საერთო მშობიარობათა 11%–ია. 2013 წლის მონაცემებით მე–3 და მეტი ბავშვის მშობიარობა შეადგენდა 718–ს, რაც საერთო მშობიარობათა 12%–ია, 2,8%–ით ნაკლები წინა წლის მონაცემთან შედარებით.

წელი	მოსახლეობა			შობადობა		სიკვდილობა		ბუნებრივი ნამატი	
	სულ	ქალი	კაცი	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ	აბსოლი ტური	მაჩვენე ბელი 1000 მოსახ
2000	400500	212265	188235	4501	11.2	2405	6.0	2096	5.7
2001	402900	204126	198774	4411	10.9	2121	5.2	2290	3.7
2002	406500	215039	191461	4332	10.6	2175	5.3	1743	5.3
2003	376016	206720	169296	3938	10.4	2316	6.1	1626	4.2
2004	379900	210359	169541	4457	11.7	2559	6.7	1898	5.0
2005	382565	204193	178372	4098	10,7	2153	5,6	1945	5,1
2006	386194	214068	172126	4464	11,5	2000	5,1	2388	6,2
2007	387954	215736	172218	4528	11,7	2324	5,9	2139	5,8
2008	390 174	216842	173332	5546	14,3	2444	6,2	3102	8,1
2009	360 526	198289	162237	6153	17,0	3190	8,8	2963	8,2
2010	376 536	193 274	183 859	6127	16,2	3107	8,2	3020	8,0
2011	385 970	197751	188219	5471	14,1	3239	8,3	2232	5.8
2012	393 772	201 247	192 525	5614	14,2	3224	8,2	2390	6,0
2013	396 760	202 139	194 621	5732	14,4	3139	7,9	2593	6,5
2014	399 634	203 858	195 776	6061	15,7	3305	8,27	2756	6,9
2015	401 402	205 803	195 599	6176	15,3	3392	8,4	2784	6,9

მოსახლეობის დინამიკა სქესის მიხედვით (2002-2015წწ)



ცოცხლად დაბადებულთა რაოდენობა (აჭარა 2013-2015 წწ)

	2013 წ.			2014 წ			2015 წ.		
	სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის	
		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი
აჭარა	5732	2575	3157	6061	2666	3395	6176	2692	3484


აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში რეგისტრირებული იყო გარდაცვალების 3392 შემთხვევა. მოსახლეობის მოკვდავობის სტრუქტურა ძირითადად არ შეცვლილა. მოკვდავობის სტრუქტურაში სტაციონარული მონაცემების მიხედვით, როგორც წინა წლებში ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს 35%, მათ შორის: გულის მწვავე ინფარქტი (20%), ცერებროვასკულური ავადმყოფობები 34%; სტაციონარული გარდაცვალების სტრუქტურაში სუნთქვის ორგანოთა დაავადებები 21%-ია, საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები 12%, ნერვული სისტემის დაავადებები 2%, ახალწარმონაქმნი 4%, ტრავმები 5%.

გარდაცვლილთა რაოდენობა (აჭარა 2013-2015წწ)

	2013 წ.			2014 წ.			2015 წ.		
	სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის		სულ	მ/შორის	
		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი		ქალაქი	სოფელი
აჭარა	3139	1295	1844	3305	1309	1996	3392	1418	1974

2015 წელს ბინაზე გარდაცვლილთა რაოდენობამ შეადგინა 1529, მათ შორის 0-15 წლამდე გარდაიცვალა 5 (0,3%), 15–18 წლამდე –0, 18 წლის და მეტი ასაკის გარდაიცვალა 1524 (99,7%) პიროვნება. ბინაზე გარდაცვლილთა მოკვდავობის სტრუქტურაში ძირითადი ადგილი უჭირავს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებს (65%), სიმსივნეებს (15%), ნერვული სისტემის დაავადებებს (5%), სუნთქვის ორგანოების დაავადებებს (4%), სისხლისა და სისხლმზადი ორგანოების დაავადებებს (1%), ენდოკრინული სისტემის, კვებისა და ნივთიერებათა ცვლის დარღვევით გამოწვეულ დაავადებებს (2%), ტრავმებით და მოწამვლებით ბინაზე გარდაიცვალა 27 პიროვნება (2%) 18 წლის და მეტი ასაკის.


ბინაზე გარდაცვალება (%), აჭარა, 2015



სოციალურად დაუცველი მოსახლეობა

2015 წელს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული იყო სულ 169 632 სოციალურად დაუცველი (42 495 ოჯახი), მოსახლეობის საერთო რაოდენობის 42%. საარსებო შემწეობის მიმღებთა რაოდენობა შეადგენს 31 388, მოსახლეობის საერთო რაოდენობის 8%.

საარსებო შემწეობის მიმღები მოსახლეობის რაოდენობა (01.01.2016 წ.)



მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრირებული მოსახლეობის რაოდენობა
სარეიტინგო ქულების სხვადასხვა ჯგუფებში (2015 წლის მონაცემებით)

რეგიონი/რაიონი	არ აღემატება 57000	57001- 70000	70001- 100000	100001- 200000	მეტია 200000- ზე	სულ
ბათუმი	7009	2669	11221	17835	4268	43002
ქედა	2874	1649	5048	4581	124	14276
ქობულეთი	5595	3830	16441	17110	1503	44479
შუახევი	2981	1302	4812	3806	207	13108
ხელვაჩაური	3366	2798	14078	13638	826	34706
ხულო	5548	2657	6951	4752	153	20061
აჭარა	27 373	14 905	58 551	61 722	7 081	169 632

სახელმწიფო პენსიის მიმღებთა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით
2015 წლის მდგომარეობით

რაიონი/რეგიონი	ბენეფიციართა რაოდენობა
ბათუმი	18792
ქედის რაიონი	2862
ქობულეთის რაიონი	11574
შუახევის რაიონი	2940
ხელვაჩაურის რაიონი	9369
ხულოს რაიონი	4616
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	50 153

**სოციალური პაკეტის მიმღებთა რაოდენობა ჯგუფების მიხედვით
2015 წლის დეკემბრის მდგომარეობით**

რეგიონი რაიონი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები	მარჩენალდაკარგული ოჯახის წევრი	პოლიტ რეპრესირებული	სახელმწიფო კომპესაციის მიმღებები	საყოფაცხოვრებო უსუსრიდის სმიმღებები	სხვა	სულ
ბათუმი	4050	873	80	339	117	2	5461
ქედის მუნიციპალიტეტი	1028	115	5	23	4	0	1175
ქობულეთის მუნიციპალიტეტი	3318	472	57	132	87	0	4066
შუახევის მუნიციპალიტეტი	1229	96	8	15	7	0	1355
ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი	2862	433	153	127	85	0	3660
ხულოს მუნიციპალიტეტი	1962	203	15	9	13	0	2202
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა	14 449	2 192	318	645	313	2	17 919

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ქსელი, კადრები და რესურსები

2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებდა:

ჰოსპიტალური სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/საავადმყოფო – 17 (მ/შორის 13 კერძო),

მ.შ. სამშობიარო სახლი - 1 (კერძო)

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულება: – 28 (მ.შ. 19 კერძო)

მ.შ. სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახური –5

სისხლის გადასხმის სადგური შპს „ჰემა-2012“ –1(კერძო)

სადიაგნოსტიკო-სამკურნალო/სადიაგნოსტიკო ცენტრი - 1 (კერძო)

პირველადი ჯანდაცვის ცენტრი -49

თემის სამედიცინო პუნქტი _ 184

სტომატოლოგიური პროფილის სამედიცინო დაწესებულება-109 (კერძო)

სულ 387

№	აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი საწარმოები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
1	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება: სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი	20	24	23	23	19	5	4	4	4	4
2	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები: საოჯახო მედიცინის ცენტრი /პოლიკლინიკა	12	12	12	12	12	4	3	4	4	4
4	სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი	7	6	6	6	6	2	1	1	5	5
5	სისხლის გადასხმის სადგური	1	1	1	1	1	1	1	1	–	–
7	პირველადი ჯანდაცვის ცენტრი	46	46	46	46	47	47	47	46	49	49
8	თემის სამედიცინო პუნქტი	176	176	177	177	178	182	181	183	184	184

2015 წლისათვის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით მოქმედი სამედიცინო დაწესებულებებია:

ჰოსპიტალური სექტორის სამედიცინო დაწესებულება:

სამედიცინო ცენტრი/სტაციონარი 4: – შპს ფსიქონევროლოგიური საავადმყოფო, შპს ბათუმის რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფო; შპს ინფექციური პათოლოგიის, შიდსის და ტუბერკულოზის რეგიონული ცენტრი, შპს ნარკოლოგიური ცენტრი;

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები:

საოჯახო მედიცინის ცენტრი/პოლიკლინიკა 4: – შპს ბათუმის N1 პოლიკლინიკა, შპს მახინჯაურის მრავალპროფილური პოლიკლინიკა; შპს ბათუმის საოჯახო მედიცინის რეგიონული ცენტრი, შპს თამარის დასახლების საოჯახო მედიცინის ცენტრი.

სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი-5;

2015 წლისათვის კერძო სამედიცინო სექტორის სამკურნალო-პროფილაქტიკურ დაწესებულებათა რაოდენობა (სტომატოლოგიური დაწესებულებების გარეშე) შეადგენს 32, მათ შორის:

სამედიცინო ცენტრი ჰოსპიტალური სერვისის პროფილით – 13:

შპს ჯანმრთელობის ცენტრი- მედინა, სს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი –2010, სს საზღავაო ჰოსპიტალი, შპს უნიმედი კახეთი – ბათუმის დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ქედის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- შუახევის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ხულოს სამედიცინო ცენტრი, შპს ბათუმის რეფერალური საავადმყოფო, შპს უნიმედი აჭარა- ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, სს ქობულეთის სამედიცინო ცენტრი, შპს ონკოლოგიური ცენტრი, შპს კლინიკა „სალვე“;

სს ბათუმის სამშობიარო სახლი – 1.

ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულებები –19:

შპს მეზღვაურთა სამედიცინო ცენტრი- საგიტარიუსი, შპს პარაცელსი, შპს სანიტასი, შპს კლინიკა „N.G.“, შპს ბათუმის №4 პოლიკლინიკა, შპს დერმაქეა, შპს „დეგური მმ“, შპს კანისა და ვენსნეულებათა რეგიონული ცენტრი, შპს დია+, შპს პლასტიკური ქირურგიის ცენტრი, შპს აი ვი ეფ ცენტრი (ინ ვიტრო), სამედიცინო ცენტრი -ვია-ვიტა, შპს ენდოკრინოლოგიური ცენტრი, შპს ინტერმედიკა, შპს კარდიოსერვისი, შპს ხელვაჩაურის სამედიცინო ცენტრი, შპს უნიმედი აჭარა- ჩაქვის სამედიცინო ცენტრი, შპს „ჰემა 2012“.

შპს სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრი –1.

№	კერძო საკუთრებაში მყოფი სამედიცინო დაწესებულებები	2006	2007	2008	2009	2010	2011	2012	2013	2014	2015
1	ჰოსპიტალური პროფილის სამედიცინო დაწესებულება	1	1	2	3	6	4	13	14	13	13
2	ამბულატორიული სერვისის მიმწოდებელი დაწესებულება	2	2	2	2	2	7	7	16	19	19
3	კერძო სტომატოლოგიური დაწესებულებები	85	89	95	107	120	98	106	106	100	109

საწოლთა ფონდი 2015 წლის მონაცემებით

	საწოლი	საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვ.	საწოლდე	შემოსული პაციენტი	გაწერილი	გარდაცვლილი	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალობა
ბათუმი	986	549	211160	39740	37400	787	214	40	5,6	2
ქობულეთი	127	144	14454	3760	3584	163	114	27	4	4,5


ხელვაჩაური	0	0	0	0	0	0	-	-	-	-
ქედა	20	98	531	315	313	2	26,5	16	1,7	0,6
შუახევი	15	75	293	200	197	3	19,5	13	1,5	1,5
ხულო	23	71	1570	590	587	3	68	26	3	0,5
აჭარა	1171	292	228008	44605	42081	958	195	38	5,4	2,2

საწოლთა ფონდი (2007-2015წწ)

№	აჭარა	საწოლი	საწოლდღე	გაწერილი	გარდაცვლილი	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალობა
1	2007 წ.	1034	184 105	25 625	524	178,1	25,3	7,0	2,0
2	2008 წ.	1011	190 428	29 744	500	188,3	29,9	6,2	1,6
3	2009 წ.	1 036	178 667	28 476	500	172,4	27,9	6,1	1,7
4	2010 წ.	1076	186 507	30 614	545	173,3	28,9	5,9	1,7
5	2011წ	1025	186847	31520	500	182,2	31,2	5,8	1,5
6	2012 წ.	929	222 157	35 500	594	239,1	38,8	6,1	1,6
7	2013 წ.	1108	201 608	38 587	678	181,9	34,8	5,2	1,7
8	2014წ	1095	223 614	39 287	844	204	36	5,7	2
9	2015 წ.	1171	228 008	42 081	958	195	38	5,4	2,2

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2015 წელს გასული წლის მაჩვენებელთან (274) შედარებით გაიზარდა და 292 შეადგინა. საქართველოს მონაცემებით ჰოსპიტალური საწოლებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2014 წელს გაუტოლდა 313-ს (21%-ით მეტი 2013 წლის მონაცემთან შედარებით); საწოლზე დატვირთვის მაჩვენებელი 188,3, აჭარისათვის აღნიშნული მაჩვენებელი კი 2015 წლისათვის 195-ია.

საწოლთა ფონდის დატვირთვა (აჭარა, 2007-2015წწ)




საწოლთა ფონდი ზოგიერთი პროფილის მიხედვით , აჭარა, 2015წ.

პროფილი	საწოლთა რაოდენობა	გაეწერა	გარდაიცვალა	საწოლდღე	დატვირთვა	ბრუნვა	დაყოვნება	ლეტალობა
თერაპიული	105	4046	32	17650	168	38.5	4.4	0.8
კარდიოლოგიური	27	3092	26	7301	270	114	2.4	0.8
ინფექციური (მოზრდილები)	26	278	2	2717	104	10.7	9.8	0.7
ინფექციური (ბავშვთა)	28	1693		5317	189	60.5	3.1	
ქირურგია (მოზრდილები)	177	6128	20	23949	135	34.6	3.9	0.3
ქირურგია (ბავშვები)	37	1202		3760	102	32.5	3.1	
ნეიროქირურგია	20	717	3	3799	190	36	5.3	0.4
ორთოპედია–ტრავმატოლოგია	11	338		1504	137	31	4.4	
მელოგინეთა და მშობიარეთა (ახალშობილთა)	132	5658		20976	159	43	3.7	
გინეკოლოგიური	75	3303	1	10397	139	44	3.1	
ტუბერკულოზი	55	245	2	11693	212	4.5	47	0.8
ფსიქიატრიული	150	496	1	54034	360	3.3	109	0.2
პედიატრიული	82	3844	6	18289	223	47	4.8	0.2
რენიმაცია მოზრდილებისათვის	60	2340	725	13237	221	39	5.7	31
უროლოგია	8	483	1	1570	196	60	3.3	0.2

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანდაცვის სისტემაში ერთ საწოლზე ექიმების საშუალო რაოდენობა 1,11 (გარდა ექიმ–სტომატოლოგისა), ხოლო ექთნების 1,29 (საქართველოში ექიმის საშუალო რაოდენობა 1 აღემატება), საშუალო ევროპული მაჩვენებელია ერთ საწოლზე 0,6 ექიმი. ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელი (100 000 მოსახლეზე) აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში შედგენს 385.6. საქართველოსთვის 2014 წელს ანიშნული მაჩვენებელი 568,8–ს გაუტოლდა (24,7%–ით მეტი 2013 წლის მონაცემთან

შედარებით). ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის „ჯანმრთელობა ყველასათვის“ მონაცემთა ბაზის თანახმად ექიმებით უზრუნველყოფის მაჩვენებელს გლობალური ზრდის ტენდენცია ახასიათებს. საშუალო სამედიცინო პერსონალის უზრუნველყოფის მაჩვენებელი აჭარისათვის (100 000 მოსახლეზე) შეადგენს 376-ს (5%-ით მეტი 2014 წლის მაჩვენებელთან შედარებით), საქართველოში აღნიშნული მაჩვენებელი 2003 წლიდან იკლებდა, ხოლო 2014 წლისათვის დაფიქსირდა 21%-იანი მატება.


სამედიცინო პერსონალით მოსახლეობის უზრუნველყოფის მაჩვენებლები, აჭარა, 2000-2015 წ



ექიმების შეფარდება საშუალო სამედიცინო პერსონალთან არის 1/1,03 (საქართველოს მაჩვენებელია 1/1,3), რაც გაცილებით ნაკლებია ევროპის ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებელზე. ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულია შეფარდება 1/4.

რეგიონში ექიმების გადანაწილება არათანაბარია. ქ.ბათუმში ექიმების რაოდენობა 1231, რაც საგრძნობლად მეტია სხვა მუნიციპალიტეტებთან შედარებით.

პერსონალის განაწილება ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეულების მიხედვით
(აჭარა, 2015)




აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ექიმების 13% (195) 60 წლის და მეტისაა (საქართველოს მონაცემია 15%-ზე მეტი), აჭარის მაღალმთიან და დაშორებულ რაიონებში ჭარბობს ახალგაზრდა სპეციალისტების რაოდენობა.

ექიმთა ასაკობრივი სტრუქტურა მუნიციპალიტეტების მიხედვით


მუნიციპალიტეტის დასახელება	ექიმთა რაოდენობა სულ	მ.შ.სტომატოლოგი	60 წლის ზემოთ	60 წლის ზემოთ %
ბათუმი	1231	205	169	14
ქობულეთი	140	30	15	11
ხელვაჩაური	70	3	4	6
კედა	33	5	2	6
შუახევი	33	0	2	6
ხულო	41	2	3	7
აჭარა	1548	245	195	13

ექიმთა რაოდენობა-1548



საექიმო კადრების გადანაწილება სპეციალობების მიხედვით (2015წ.)

სულ - 1548



ექიმი-სპეციალისტთა რაოდენობა 2010–2015 წლებში, აჭარა


ექიმი სპეციალისტი	2010 წ	2011 წ	2012 წ	2013 წ	2014წ	2015წ
თერაპევტი	78	77	105	90	108	84
კარდიოლოგი/კარდიოქირურგი	36	42	57	67	75	63
ენდოკრინოლოგი	17	19	32	34	33	37
ქირურგი	62	67	67	67	71	74
ანესთეზიოლოგი/რეანიმატოლოგი	54	48	47	61	66	66
მეან-გინეკოლოგი	118	125	127	132	138	138
პედიატრი	86	46	68	57	60	58
ნევროპათოლოგი	42	48	44	46	49	42
სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმი	90	98	104	104	–	–
ქ.ბათუმის სასწრაფო დახმარების ცენტრის ექიმი	–	–	–	–	52	53
სტომატოლოგი	124	167	281	309	289	245
სხვა	553	670	608	598	604	688
სულ	1260	1407	1540	1565	1545	1548

სამედიცინო მომსახურება

2015 წლის განმავლობაში ამბულატორიულ-პოლიკლინიკური სამსახურებისა და სოფლის ექიმების მიერ რეგისტრირებულია დაავადებათა 345 013 შემთხვევა (2014 წელს დაფიქსირებული იყო 394 909 შემთხვევა, ხოლო 2013 წელს 300 834) პრევალენტობის მაჩვენებელი 85 952, მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 133 893 (2014 წელს დაფიქსირებული იყო 173 238 შემთხვევა, ხოლო 2013 წელს - 137 207) ინციდენტობის მაჩვენებელი 33 356. 2015 წელს აჭარის რეგიონში ზოგადი პრევალენტობის და ინციდენტობის მაჩვენებლები ხასიათდება კლებადი ტენდენციით.

2015 წელს 0-15 წლის ბავშვებში რეგისტრირებული იყო 71 770 დაავადების შემთხვევა (პრევალენტობა - 93059), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 37 165 (ინციდენტობა - 48 189). ინციდენტობა ბავშვთა მოსახლეობაში მაღალია დაავადებათა შემდეგ კლასებში: სუნთქვის ორგანოთა დაავადებები (20 274 შემთხვევა, ინციდენტობა 26 287), ინფექციური და პარაზიტული დაავადებები (2943 შემთხვევა, ინციდენტობა-3816), ყურისა და დვრილისებრი მორჩის ავადმყოფობები (2062 შემთხვევა, ინციდენტობა 2674), საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები (1869 შემთხვევა, ინციდენტობა 2423). 5 წლამდე ასაკის ბავშვებში აღრიცხულია დაავადების 20 389 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა - 70 109). 1 წლამდე ასაკის ბავშვებში აღრიცხული იქნა დაავადების 5418 ახალი შემთხვევა (ინციდენტობა - 88776), ორივე ასაკობრივ ჯგუფში მაღალი ინციდენტობით ხასიათდება სასუნთქი სისტემის დაავადებები.

პოლიკლინიკური დახმარება (სულ დაავადებები), აჭარა 2001-2015წწ




2015 წელს სამედიცინო დაწესებულებებში მიმართვათა რაოდენობა სულ იყო 1 006 613 (მათ შორის ამბულატორიულ-პოლიკლინიკურ დაწესებულებებში - 329 828, ფიზიკურ პირებთან - 147 050, სტაციონარებში - 473 686, სტომატოლოგიური პოლიკლინიკები - 56 049), ერთ სულ მოსახლეზე იყო 2,5. პირველადი ჯანდაცვის ექიმების მიერ 41 335 პაციენტი გამოსაკვლევად გაგზავნილი იქნა პოლიკლინიკებში, 275 პაციენტი - დისპანსერებში, 2112 სტაციონარში.

2015 წელს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტაციონარებში სამკურნალოდ შემოვიდა 44 605 ავადმყოფი. უკანასკნელ წლებში აღინიშნება ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებლის ზრდა. საანგარიშო წელს ჰოსპიტალიზაციის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს 11 112 (2014 წლის მაჩვენებელია - 10 082, ხოლო 2013 წლის მაჩვენებელია 9920). პაციენტთა მიერ გატარებული საწოლდღეების რაოდენობამ 2%-ით მოიმატა და 228 008 შეადგინა (2014წ. - 223 614). 2015 წელს საწოლთა ფონდის გამოყენების მაჩვენებლები შემდეგია: საშუალო დატვირთვა - 195 (2014 წელი 204, 2013 წლის მაჩვენებელი 182), ბრუნვა - 38 (2014 წელი - 36; 2013 წლის მაჩვენებელი 34,8) და საწოლზე დაყოვნება 5,4 (2014 წელი - 5,7; 2013 წლის მაჩვენებელი 5,2). დატვირთვისა და დაყოვნების მაღალი მაჩვენებლებით ხასიათდება ფსიქიატრიული და ტუბერკულოზის პროფილის საწოლები.

საანგარიშო წელს სტაციონარებიდან გაეწერა 42 081 ავადმყოფი. სტაციონარში გარდაიცვალა 958 ავადმყოფი. ლეტალობის მაჩვენებელმა 2015 წელს 2,2 შეადგინა (2014 წლის მაჩვენებელია 2) სტაციონარიდან გაწერილი ავადმყოფების საერთო რაოდენობიდან 19% (7972) 0-15 წლამდეა, აღნიშნული ასაკობრივი ჯგუფისათვის ლეტალობა 1%-ია, 19%-ს (1514) 0-1 წლამდე ასაკის ბავშვები შეადგენენ (ლეტალობა 3%). დაავადებათა კლასების მიხედვით საავადმყოფოდან გასული ავადმყოფებიდან 24% ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის, 22% სუნთქვის ორგანოთა, 14% სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების კლასების დიაგნოზით არის გასული.

სტაციონარიდან გასული ავადმყოფები დიაგნოზების მიხედვით (2015წ)




საანგარიშო წელს სტაციონარიდან გაეწერა 7972 ბავშვი (ჰოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე უდრის 103). მათ შორის ერთ წლამდე ასაკის 1514, (ჰოსპიტალიზაციის დონე 1000 ბავშვზე შეადგენს 250). ერთ წლამდე ასაკის ბავშვების ჰოსპიტალიზაციის დონე მაღალია სასუნთქი სისტემის დაავადებების (110 - 697 შემთხვევა), პერინატალურ პერიოდში წარმოქმნილი ცალკეული მდგომარეობების (71 - 448 შემთხვევა) და ინფექციური და პარაზიტული დაავადებების (41 - 256 შემთხვევა) კლასებში. აჭარის ჰოსპიტალურ სექტორში აღირიცხა 0-15 წლამდე ასაკის 54 გარდაცვლილი ბავშვი, აქედან 0 - 1 წლამდე ასაკის 41. რაც შეადგენს 0-15 წლამდე ასაკში გარდაცვლილ ბავშვთა (54) - 76%-ს.

2015 წელს სტაციონარებში ჩატარებულია 14 671 ოპერაცია, (2014 წელს - 16 178 ოპერაცია) ჩატარებული ოპერაციების მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე შეადგენს 3655 (2014 წლის მაჩვენებელია 4048) 15 წლამდე ასაკის მოსახლეობაში ჩატარებულია 1606 ოპერაცია (მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე 2082). ოპერაცია გაუკეთდა 19681 ავადმყოფს, მათ შორის 1888 ბავშვს. გარდაიცვალა 6 ნაოპერაციები ავადმყოფი (2014 წელს გარდაიცვალა 11) ლეტალობის მაჩვენებელია 0.03% (2014 წელს ლეტალობის მაჩვენებელი იყო 0,05%). ჩატარებული ოპერაციების 35% შარდსასქესო სისტემის დაავადებებზე მოდის (მათ შორის 83% სამედიცინო გინეკოლოგიურ დაავადებებს უჭირავს), 12% საჭმლის მომნელებელი სისტემის და მუცლის ღრუს ორგანოებზე ჩატარებული ოპერაციებია. 2015 წელს ჩატარდა 4953 გადაუდებელი ოპერაცია (2014 წელს - 5139) რაც სტაციონარში ჩატარებული ოპერაციების

34% შეადგენს. სტაციონარული ოპერაციების 94.7% - ქ.ბათუმზე მოდის, 3% - ქობულეთის, 0.02% - შუახევის, 0.5% - ქედის, 1.8% - ხულოს მუნიციპალიტეტებზე მოდის.

ოპერაციების პროცენტული გადანაწილება მუნიციპალიტეტების მიხედვით, 2015წ



2015 წლიდან აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ფუნქციონირებს 5 სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი ქალაქ ბათუმში, ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში.

ქ.ბათუმის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრი მოსახლეობას ემსახურება 53 ექიმით, საშუალო სამედიცინო პერსონალი 64, სხვა დანარჩენი 71. გამსვლელი ბრიგადების რაოდენობა 18. შესრულებულია 90 894 გასვლა, დახმარება აღმოუჩინეს 86 103 პირს, მათ შორის 13 634 სოფლის მცხოვრებს. 15 წლამდე ასაკის კონტინგენტთან 8355 გამოძახება შესრულდა. სამედიცინო დახმარების საერთო რიცხვიდან სახელმწიფო სტანდარტებით დახმარება გაეწია 84 085 პირს. ჰოსპიტალიზაცია ჩატარდა 23 246 შემთხვევაში.

ონკოლოგია

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ბოლო მონაცემებით 2012 წელს მსოფლიო მასშტაბით კიბოს შემთხვევათა რაოდენობა 14 მილიონს აღწევს, პროგნოზული გათვლებით 2030 წლისათვის მოსალოდნელია კიბოს შემთხვევების 22 მილიონამდე მატება. სიკვდილის წამყვან მიზეზებს შორის კიბოს შედეგად 2012 წელს გარდაცვლილთა რაოდენობამ 8,2 მილიონს მიაღწია. სიმსივნეებით გამოწვეულ სიკვდილიანობის სტრუქტურაში ყოველწლიურად იზრდება ფილტვის, ღვიძლის, კუჭის, ძუძუს და კოლორექტული კიბოს წილი. კიბოთი გამოწვეული სიკვდილის შემთხვევების 30%-მდე წარმოადგენს ქცევითი და საკვებისმიერი რისკ-ფაქტორების უგულვებელყოფის შედეგს. თამბაქოს მოხმარება კიბოს განვითარების უნმიშვნელოვანეს რისკ-ფაქტორს წარმოადგენს. სწორედ ამით არის განპირობებული დაბალი და საშუალო შემოსავლის ქვეყნებში კიბოს მიზეზით გარდაცვალების 20% და ფილტვის კიბოს შედეგად სიკვდილის 70%. მსოფლიოში კიბოს ახალი შემთხვევების 60%-ზე მეტი ფიქსირდება აფრიკაში, აზიაში და ცენტრალურ და სამხეთ ამერიკაში.

რეგიონში 2015 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით გამოვლინდა 751 შემთხვევა, რაც 2014 წელთან შედარებით 0,2%-ით (749) მეტია, 2012-2014 წლების მონაცემებით ადგილი ჰქონდა ავადობის მატების ტენდენციას: 2014 წელს გამოვლინდა 749 ახალი შემთხვევა, 2013 წელს 716 , ხოლო 2012 წელს - 670 ახალი შემთხვევა.

ახალი შემთხვევები 2012-2015 წწ, აჭარა




კიბოს დიაგნოსტიკების დროს ძირითადი ადგილი უჭირავს დაავადების შორსწასულ სტადიებს, როგორც წესი შემთხვევათა 50-60%-ში კიბო ვლინდება დაავადების III-IV სტადიაში. აღნიშნულის გამო ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ავადმყოფთა რადიკალური მკურნალობა, მცირდება მათი განკურნების და სიცოცხლის გახანგრძლივების შანსები და მატულობს სიკვდილიანობა.

2015 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე იმყოფებოდა 4153 ავადმყოფი (პრევალენტობა 1034), გამოვლენილია სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზის 751 შემთხვევა (ინციდენტობა 187), რაც 8%-ით მეტია წინა წელთან შედარებით (2014 წელს ავთვისებიანი სიმსივნეების დიაგნოზით აღრიცხვაზე მყოფი 3859 ავადმყოფიდან ახალ შემთხვევათა წილი შეადგენდა 19%-ს, 749 შემთხვევა). 2015 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი ავთვისებიანი სიმსივნეებით აღრიცხულ ავადმყოფებში 47% ქალია (356), 53% მამაკაცი (395). ჯანმო-ს მონაცემებით საქართველოში ავთვისებიანი სიმსივნეებით ავადობის მაჩვენებლების დსთ-სა და ევროპის ქვეყნებთან შედარებით მნიშვნელოვნად დაბალია.

2015 წელს ისევ მაღალია დაავადების IV სტადიაში გამოვლენილ შემთხვევათა რაოდენობა 265 შემთხვევა 35% (2014 წლისათვის აღნიშნული მონაცემი შეადგენდა 246 - 32%), ონკოლოგიური ავადმყოფების მხოლოდ 45% დაუდგინდათ დაავადების I და II სტადია (I სტადია - 139 (19%), II სტადია 195 (26%)). ხოლო III სტადიის მქონე პაციენტთა (152) ხვედრითი წილი 20% შეადგენდა.

ონკოლოგიური პათოლოგიების (ახალი შემთხვევები) ხვედრითი წილი სტადიების მიხედვით, აჭარა, 2013-2015 წწ



2015 წლის მონაცემებით სიმსივნური დაავადებებით ავადობის სტრუქტურაში I ადგილი უკავია სარძევე ჯირკვლის კიბოს (21%), II ადგილი ადგილი კანის ავთვისებიან სიმსივნეებს (17%), III-ფილტვის კიბოს (6%), IV ადგილზე –შარდის ბუშტის (4,2%), სწორი ნაწლავის კიბო (4,2%), წინამდებარე ჯირკვლის კიბო (4%), კუჭის კიბო (4%), საშვილოსნოს ყელის კიბო (3,5%), ხორხის კიბო (3,4%).

სიმსივნური დაავადებების გავრცელების თავისებურებები სქესის მიხედვით შემდეგია: ქალებში 26% სასქესო ორგანოების ავთვისებიან სიმსივნეებზე მოდის, 24%-სარძევე ჯირკვლის სიმსივნეებზე. ე.ი. ქალებში ონკოლოგიური ავადობის (სიცოცხლეში პირველად) 50% რეპროდუქციული ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეების წილად მოდის. ავადობის მაჩვენებელი მატულობს ასაკის პროპორციულად, აღნიშნული პათოლოგიებით (2015 წლის მონაცემებით) მაღალი ავადობის ასაკია 45-70 წელი, მ.შ. მაქსიმალური 60-64 წელი – 14% (ასაკობრივი ინციდენტი - 35 წელი);


მამაკაცებში ლოკალიზაციის მიხედვით სიცოცხლეში პირველად დადგენილი სიმსივნეების სტრუქტურაში პირველ ადგილზეა 29,6%-სუნთქვისა და გულმკერდის ორგანოების, მეორე ადგილზე საჭმლის მომნელებელი ორგანოების სიმსივნეები -19.7%, მესამე ადგილზე მელანომა და კანის სხვა ავთვისებიანი სიმსივნეები 13.1%, მამაკაცის სასქესო ორგანოების ავთვისებიანი სიმსივნეები-10,1%. საერთო ჯამში მამაკაცებში ონკოლოგიური ავადობის ნახევარზე მეტი სასუნთქი გზებისა და კუჭნაწლავის სიმსივნეებითაა გამოწვეული (49.3%). ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით სასუნთქი ორგანოების სიმსივნეებით ავადობის მაღალი მაჩვენებელი 65-69 წლის ასაკზე მოდის (16%).

2015 წელს ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებული ავადმყოფებიდან გარდაიცვალა 457 პაციენტი (9.5%), მათ შორის დიაგნოზის დადგენიდან პირველ წელს გარდაიცვალა 113 (15%).


სპეციალური მკურნალობა უტარდებოდა ავთვისებიანი სიმსივნეებით დაავადებულ II კლინიკური ჯგუფის 416 ავადმყოფს, მკურნალობა დაამთავრა 365 ავადმყოფმა, ქირურგიული მეთოდით მკურნალობა ჩაუტარდა 169 ავადმყოფს, სხივური მეთოდით 53, მხოლოდ მედიკამენტებით 67 ავადმყოფს.

სტაციონარებში ჰოსპიტალიზირებულია 1822 შემთხვევა.


სარძევე ჯირკვლის კიბოს გავრცელების დინამიკა, აჭარა 2001-2015 წწ



ტრაქტის, ბრონქებისა და ფილტვის კიბოს ინციდენტობა სქესის მიხედვით, აჭარა 2002-2015 წწ



საშვილოსნოს ყელის სიმსივნეების დინამიკა, აჭარა 2001-2015წწ



დედათა ჯანმრთელობა


საქართველოში არსებული რთული დემოგრაფიული სიტუაციის ფონზე უმნიშვნელოვანესია დედათა ჯანმრთელობის გაუმჯობესება და მოკვდავობის შემცირება.

2015 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში იმშობიარა 6568 ქალმა, რაც წინა წელთან შედარებით 161 მშობიარობით მეტია (2014 წ - 6407 მშობიარე), მათგან 6559 ქალმა (99,8%) იმშობიარა სამშობიარო სახლებში, 9 ქალმა (0,1%) ბინაზე. სამედიცინო დაწესებულებებში დაიბადა 6596 ცოცხალი ბავშვი, მათგან 6184 (94%) ახალშობილს ჩაუტარდა ტუბერკულოზის საწინააღმდეგო აცრა, ხოლო 6270 (95%) ახალშობილს B ჰეპატიტის საწინააღმდეგო აცრა.

მშობიარობის რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით

№	ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	სამკურნალო პროფილაქტიკური დაწესებულება	მშობიარეთა რაოდენობა			%
			ჰოსპიტალური	ბინაზე	ჯამი	
1	ბათუმი	ბათუმის სამშობიარო სახლი	2597	3	2600	40%
		დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი	1157	1	1158	18%
		ჯანმრთელობის ცენტრი "მედიანა"	919		919	14%
		შპს ბათუმის რეფერალური სააგ-ფო	55		55	0,8%
		სს საზღვაო ჰოსპიტალი	1011		1011	15%
2	ხელვაჩაური					
3	ქობულეთი	უნიმედი აჭარა-სამედიცინო ცენტრი	354	2	356	5%
		სს სამედიცინო ცენტრი	226		226	3%
4	შუახევი	სამედიცინო ცენტრი	10	1	11	0,2%
5	ხულო	სამედიცინო ცენტრი	185	2	187	2,8%
6	ქედა	სამედიცინო ცენტრი	45		45	0,7%
7	აჭარა		6559	9	6568	

მშობიარობათა რაოდენობა მუნიციპალიტეტების მიხედვით, აჭარა, 2015წ




2015 წელს ჩატარდა 3091 საკეისრო კვეთის ოპერაცია (52%-ით მეტი ვიდრე წინა წელს, 2014 წელს - 2030), რაც მშობიარეთა საერთო რაოდენობის 47%-ს შეადგენდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ წლიდან წლამდე მნიშვნელოვანია საკეისრო კვეთის ხვედრითი წილი. სასწრაფო საკეისრო კვეთა ჩატარდა 64%-ში (1978), ხოლო გეგმიური (1113) 36%-ში. 2014 წელს საკეისრო კვეთათა თანაფარდობა იყო - სასწრაფო - 62%, გეგმიური - 38%.

ბუნებრივი გზით და საკეისრო კვეთით მშობიარობის პროცენტული შეფარდება

მშობიარობა	2013 წელი		2014 წელი		2015 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ბუნებრივი გზით	3479	58,6	4377	68,4	3477	53
საკეისრო კვეთით	2457	41,4	2030	31,6	3091	47


ბუნებრივი გზით და საკუთრო კვეთით მშობიარობის პროცენტული შეფარდება
აჭარა, 2015 წელი



გეგმიური და სასწრაფო საკუთრო კვეთის პროცენტული შეფარდება

საკუთრო კვეთა	2013 წელი		2014 წელი		2015 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
გეგმიური	979	39,5	763	38	1113	36
სასწრაფო	1488	60,5	1267	62	1978	64

გეგმიური და სასწრაფო საკუთრო კვეთის პროცენტული შეფარდება
აჭარა, 2015 წელი




2015 წელს დაფიქსირდა პერინატალური სიკვდილობის 56 შემთხვევა 1000 საერთო დაბადებულზე მაჩვენებელი - 8,4 (2014 წელს დაფიქსირდა 53 შემთხვევა, მაჩვენებელი - 8,2 2013 წელს- 57, მაჩვენებელი - 9,5;).

2015 წელს 0-6 დღემდე ასაკის 6 ახალშობილი გარდაიცვალა, ადრეული ნეონატალური სიკვდილობის მაჩვენებელი 1000 ცოცხლადშობილზე - 0,9, (2014 წელს გარდაიცვალა 18 ახალშობილი, მაჩვენებელი -3; 2013 წელს გარდაიცვალა 0-6 დღემდე ასაკის 19 ახალშობილი, მაჩვენებელი - 1,9;)

პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება (2013-2015წ)

პერინატალური დანაკარგი	2013 წელი		2014 წელი		2015 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
ანტენატალური	36	63	31	58	41	73
ინტრანატალური	2	3,5	4	8	9	16
პოსტნატალური	19	33	18	34	6	11

პერინატალური დანაკარგების სტრუქტურული შეფარდება
აჭარა, 2015 წელი




ორსულობის, მშობიარობის და აბორტის გართულებებთან დაკავშირებული დედათა მოკვდავობა წარმოადგენს თავისებურ ინდიკატორს, რომელიც ასახავს არა მარტო ორსულთა ჯანმრთელობის მდგომარეობას, არამედ ფერტილური ასაკის ქალთა ჯანმრთელობის მდგომარეობას მთლიანად.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ბოლო ხუთი წლის განმავლობაში დედათა გარდაცვალების შემთხვევა მერყეობს 1-3 შორის. დედათა გარდაცვალება არ დაფიქსირებულა 2007, 2010, 2011, 2012 და 2013 წლებში. 2014 წელს დაფიქსირდა დედათა გარდაცვალების 3 შემთხვევა.

2015 წელს დედათა გარდაცვალების ასევე 3 შემთხვევა ფიქსირდება (ბათუმი). მაჩვენებელი 100 000 ცოცხლადშობილზე შეადგენს 45,4-ს,

დედათა გარდაცვალების დინამიკა აჭარა, 2001-2015 წწ




2015 წელს ქალთა კონსულტაციებში აღრიცხვაზე იმყოფებოდა 11 991 ქალი, მათ შორის 2015 წელს შემოსული 7385 (2014 - 5224); ორსულთაგან 12 კვირის ორსულობის ვადამდე აღრიცხვაზე აყვანილი იქნა 5839 (79%). კონსულტაციის 4 სრულ ვიზიტზე

მიმართა 5783 (78%), რეზუს ფაქტორზე გამოიკვლიეს 6549 (89%), სიფილისზე - 5828 (79%), აივ ინფექციაზე 6307 (85%) ორსული.

ორსულობის, მშობიარობისა და ლოგინობის ხანის გართულებების გამომწვევ დაავადებათა განხილვით ვლინდება, რომ 2015 წელს ანემიათა ხვედრითი წილი შეადგენს - 41%, შარდსასქესო სისტემის დაავადებები 14%, ფარისებრი ჯირკვლის დისფუნქცია 11%, ვენური დარღვევები 9%, ეკლამსია და პრეეკლამსია 7%,

ორსულობის პერიოდში ქალთა კონსულტაციებში გამოვლენილი დაავადებები %




საანგარიშო წელს რეპროდუქციული ჯანმრთელობის კაბინეტებს მიმართა 12 999 (2014 წელს– 12 242) პაციენტი. ოჯახის დაგეგმვის პროცესში კვლავ წამყვანი ადგილი უკავია აბორტს, რომლის მხოლოდ აღრიცხული შემთხვევების საერთო რაოდენობამ 2015 წელს შეადგინა 3547 (2014 წელს - 3423,) თვითნებური აბორტის საერთო რაოდენობა - 550 (16%), ხელოვნური აბორტი - 2206 (62%), (მათ შორის 683 „მინი აბორტია“), სხვა და დაუზუსტებელი აბორტი - 791 (22%), აბორტების რაოდენობა კვლავ მაღალია, ჯერ კიდევ დაბალია კონტრაცეპტივების მომხმარებელ ქალთა რაოდენობა.

აბორტების პროცენტული გადანაწილება

აბორტები	2013 წელი		2014 წელი		2015 წელი	
	რაოდენობა	%	რაოდენობა	%	რაოდენობა	%
თვითნებური	507	12,5	470	13,7	550	16
სამედიცინო (ხელოვნური)	3021	75	2463	72	2206	62
მათ შორის "მინი"	1458		1618		683	
სხვა და დაუზუსტებელი აბორტი	509	12,5	490	14,3	791	22
ჯამი	4037		3423		3547	

აბორტების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2015წ



ფტიზიატრია

მიუხედავად იმისა, რომ ტუბერკულოზი განკურნებადი დაავადებების რიცხვს მიეკუთვნება, დღეისათვის მსოფლიოს მოსახლეობის ერთი მესამედი ტუბერკულოზით ინფიცირებულია, ყოველწლიურად კი 8 მილიონზე მეტი ახალი შემთხვევა და 2 მილიონამდე გარდაცვალება რეგისტრირდება. ამიტომ ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციამ ტუბერკულოზი გლობარულ პრობლემად გამოაცხადა.


საქართველოში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ რეკომენდირებულ **DOTS** სტრატეგიაზე ორიენტირებული მრავალწლიანი სახელმწიფო პროგრამის შექმნამ და დანერგვამ ეპიდემიოლოგიური სიტუაცია ერთგვარად მოაწესრიგა. აღინიშნა ტუბერკულოზის კონტროლირებადი ნიშნები. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედებს ექვსი **DOTS** წერტილი. ექვსივე ქ.ბათუმშია განლაგებული.

უშუალო მეთვალყურეობით მკურნალობა **DOTS** წერტილებზე ხორციელდება შემთხვევათა 97%.

მუნიციპალიტეტების დონეზე DOTS ხორციელდება პირველადი ჯანდაცვის ცენტრებისა და თემის სამედიცინო პუნქტებში.


2015 წელს რეგიონში რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 428 ახალი შემთხვევა (ინციდენტობის მაჩვენებელი 107), რაც წინა წელთან შედარებით 1%-ით ნაკლებია (2014 წელს აღირიცხა 432 ახალი შემთხვევა); მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის ახალი შემთხვევების რაოდენობამ 311 შეადგინა (2014 წელს-ფილტვის ახალი 340 შემთხვევა).

ტუბერკულოზით დაავადებიათა დინამიკა, აჭარა, 2006-2015 წწ




2015 წელს სულ რეგისტრირებული იყო ტუბერკულოზის 536 შემთხვევა (პრევალენტობის მაჩვენებელი 135), მ.შ. ფილტვის ტუბერკულოზის 428 შემთხვევა (2014 წელს-469 შემთხვევა). 2015 წელს რეგისტრირებულია ფილტვგარეშე ტუბერკულოზის 108 შემთხვევა, რაც 16-ი ერთეულით მეტია წინა წელთან შედარებით (2014წ-92).

ფილტვარეშე ტუბერკულოზის განაწილება ფორმების მიხედვით (%)




2015 წელს სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 228 პაციენტი, მათ შორის მჟავაგამძლე ბაქტერია + 131 შემთხვევა დაფიქსირდა.

ბაქტერიაგამომყოფი ფორმების ხვედრითი წილი სტაციონარში, აჭარა, 2015წ



2015 წელს რეგისტრირებული ტუბერკულოზის 536 შემთხვევიდან 50 რეზისტენტული ფორმა დაფიქსირდა (2014 წელს 561 რეგისტრირებული შემთხვევიდან 40 რეზისტენტული ფორმა; 2013 წელს 659 რეგისტრირებული შემთხვევიდან 41 რეზისტენტული ფორმა; 2012 წელს 686 შემთხვევიდან 57 რეგისტრირებული).

რეზისტენტული ტუბერკულოზის გავრცელება აჭარაში, 2009–2015წწ




სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით ავადობის ტვირთის შეფასებისას ევროპის რეგიონში, სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებები პირველ ადგილზეა, მსოფლიო მოსახლეობის ავადობის სტრუქტურაში გულსისხლძარღვთა დაავადებებს წამყვანი ადგილი უჭირავს (მოსახლეობის 20%).

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2015 წელს სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 44 597 შემთხვევა (არაჰოსპიტალური) (2014 წელს - 48 005 ავადმყოფი, 2013 წელს - რეგისტრირებული იყო 36 216 ავადმყოფი), გასული წლის მონაცემთა შედარებით დაფიქსირდა კლება 7%-ით. პრევალენტობა შეადგენს 11 110. სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 11435 პაციენტი, ინციდენტობა კი 2848, მათ შორის 29 ბავშვი, ინციდენტობის მაჩვენებელი 38 (100 000 მოსახლეზე).


სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებების დინამიკა 2001-2015წწ



2015 წელს სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულ ავადმყოფთა რაოდენობამ წინა წელთან შედარებით 287 შემთხვევით მოიმატა და მთლიანად ცხოვრებაში პირველად რეგისტრირებულ ავადმყოფთა 9% შეადგინა.

გულ-სისხლძარღვთა სისტემის რეგისტრირებული დაავადებების სტრუქტურაში 60% უკავია ჰიპერტონულ დაავადებებს, 26,1%-გულის იშემიურ, 0,45% რევმატიული დაავადებებს. გულის იშემიური დაავადების შემთხვევების შორის - 6.4% გულის მწვავე ინფარქტია, 31.5% სტენოკარდია.


გულ-სისხლძარღვთა დაავადებების სტრუქტურა აჭარაში, 2015წ



რეგიონის სტაციონარებში სისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით 6248 ავადმყოფი დარეგისტრირდა (შეადგინა 17 943 საწოლდღე), აქედან 339 გარდაიცვალა (ლეტალობის მაჩვენებელი - 5.4). არტერიული ჰიპერტენზიით გატარდა 43 ავადმყოფი (44 საწოლდღე), სტენოკარდია დაუდგინდა 1890 პაციენტს (3229 საწოლდღე), აქედან

გარდაიცვალა 6 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი - 0.3, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1,7%). მოკარდიუმის მწვავე ინფარქტით დარეგისტრირდა 1184 ავადმყოფი (3997 საწოლდღე), გარდაიცვალა 64 (ლეტალობის მაჩვენებელი 5,4 გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 18.9%). გულის სხვა დაავადებებით რეგისტრირებულია 1634 ავადმყოფი (4769 საწოლდღე), გარდაიცვალა 111 (ლეტალობის მაჩვენებელი - 7.3%, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 32.7%), გულის ქრონიკული იშემიური დაავადებით რეგისტრირდა 252 ავადმყოფი (767 საწოლდღე) გარდაიცვალა 6 (ლეტალობის მაჩვენებელი - 2,3, გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 1,8%). ცერებროვასკულარული დაავადებები - სუბარაქნოიდული სისხლჩაქცევა, ინტრაცერებრული და სხვა ინტრაკრანირი არატრავმული სისხლჩაქცევები, თავის ტვინის ინფარქტი - 368 შემთხვევა (საწოლდღე - 1874) 110 გარდაცვალება (ლეტალობა 30; გარდაცვლილთა საერთო რაოდენობის 32.5%).

გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები და გარდაცვალების მიზეზები სტაციონარებში, აჭარა, 2015 წელი



გულსისხლძარღვთა დაავადებების პროფილაქტიკა და მათ მიერ გამოწვეული მოკვდავობა მნიშვნელოვნად შეიძლება შემცირდეს მოსახლეობის ცხოვრების ჯანსაღი

წესის დამკვიდრებისა და სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესების გზით, რაც ჯანდაცვის სამსახურების ხარისხიან მუშაობაზე ნაკლებად არის დამოკიდებული.


ენდოკრინოლოგიური დაავადებები

მთელს მსოფლოში, მათ შორის საქართველოშიც ფიქსირდება ენდოკრინულ დაავადებათა ზრდის ტენდენცია. ენდოკრინოპათიების სოციალური და სამედიცინო მნიშვნელობა მდგომარეობს საბიუჯეტო სახსრების ზრდაში ავადობის ზრდასთან ერთად. ეს განპირობებულია იმით, რომ ავადმყოფები (შემთხვევათა უმეტესობაში) საჭიროებენ სპეციფიურ მედიკამენტებს, მთელი ცხოვრების მანძილზე ჩანაცვლებით ჰორმონალურ მკურნალობას, სპეციფიურ საკვებ პროდუქტებს.

2015 წლის მონაცემებით აჭარაში რეგისტრირებულია 28 926 პაციენტი (2013 წ - 31 912 პაციენტი; 2012 წ-22 953). პრევალენტობის მაჩვენებელი 7206 (2014წ პრევალენტობის მაჩვენებელია 7985; 2012 წ – 5785), მათ შორის ცხოვრებაში პირველად გამოვლენილი დიაგნოზით 8020 (2014 წლისათვის ახალ შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 8001; 2013 წელს – 5247) ინცინდენტობის მაჩვენებელია 1998 (ინცინდენტობის მაჩვენებელი 2014 წლისათვის 2002, 2013 წ– 1322).

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიების სტრუქტურა 2015 წელს განაწილებულია შემდეგი სახით: იოდდეფიციტური დაავადებები ჰიპოთირეოზით-17%, ფარისებრი ჯირკვლის თირეოტოქსიკოზით მიმდინარე დაავადებები-6%, თირეოიდიტი 5%, შაქრიანი დიაბეტი (ტიპი 1), ინსულინდამოკიდებული -15%, შაქრიანი დიაბეტი, ტიპი 2, ინსულინდამოუკიდებელი - 40%;

ენდოკრინოლოგიური პათოლოგიები, აჭარა, 2015 წელი



ენდოკრინული დაავადებების სტრუქტურა, პრევალენტობა, ინციდენტობა

ნოზოლოგიები	2013				2014				2015			
	აბსოლუტური შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა	აბსოლუტური შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა	აბსოლუტური შემთხვევები	სულ	ინციდენტობა	პრევალენტობა
ჰიპოთირეოზით მიმდინარე იოდდეფიციტური დაავადებები	1349	4142	340	1043	2303	6833	576	1710	2055	5486	512	1366
კვანძოვანი ჩიყვი	354	354	89		689	689	172		686	686	171	


თირეოტოქსიკოზით მიმდინარე ფარისებრი ჯირკვლის დაავადებები	288	1143	72,5	288	472	1880	118	470	432	1752	107	436
შაქრიანი დიაბეტი, ინსულინ- დამოკიდებული	247	2961	62	746	361	3828	90	958	382	3767	95	938
შაქრიანი დიაბეტი, ინსულინ- დამოუკიდებელი	790	8875	199	1886	1035	10507	258	2629	1701	10147	423	2527

აღსანიშნავია, რომ შაქრიანი დიაბეტის რეგისტრირებულ პაციენტების რაოდენობა რეალურ შემთხვევათა 2/3-ს შეადგენს და პირველად დგინდება უკვე განვითარებული შაქრიანი დიაბეტის გართულებების ფონზე: მიკრო-მაკროანგიოპათია (ინსულტი, ინფარქტი), პოლინეიროპათია, დიაბეტური ტერფი, ნეფროპათია, რეტინოპათია და სხვა.


სასუნთქი ორგანოების დაავადებები

2015 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 72 385 შემთხვევა, დაავადებიანობის მაჩვენებელი - 18033 (2014 წელს 71 794 შემთხვევა, პრევალენტობა – 17965, 2013 წელს - 62 728 შემთხვევა, პრევალენტობა 15 810), მათ შორის სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით 37 378, რაც რეგისტრირებული დაავადებების 52%-ს შეადგენს, ინციდენტობის მაჩვენებელი - 9311 (2014 წელს - 40 641 შემთხვევა, ინციდენტობა - 10170; 2013 წელს - 36 409 შემთხვევა, ინციდენტობა - 9 176;). 15 წლამდე ასაკის ბავშვებში რეგისტრირებული იყო სასუნთქი ორგანოების დაავადებების 38 085 შემთხვევა, ავადობის საერთო მაჩვენებელი ამ ასაკობრივ ჯგუფში - 49382. 2014 წელს შემთხვევათა რაოდენობა შეადგენდა 32837-ს, დაავადებიანობის მაჩვენებელი - 37678; 2013 წელს – 32 596 შემთხვევა, დაავადებიანობის მაჩვენებელი - 44 048. საანგაიშო პერიოდში სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით დარეგისტრირდა - 20274 შემთხვევა, (2014 წელს - 23154, 2013 წელს – 22 116), ავადობის მაჩვენებელი 26287 (2014 წლის მაჩვენებელი - 30496; 2013 წლის მაჩვენებელი – 29 886). სასუნთქი ორგანოების დაავადების სტრუქტურაში წამყვანი ადგილი უჭირავს ზედა სასუნთქი გზების მწვავე დაავადებებს (54,6%), პნევმონიებს (4,2 %), ქრონიკულ და დაუზუსტებელ ბრონქიტებს (3,3%), ასთმას და ასთმურ სტატუსს (1,7%).

სასუნთქი სისტემის დაავადებების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2015წ



სუნთქვის ორგანოთა ავადმყოფობების დინამიკა 2001-2015წწ




სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით რეგიონის სტაციონარებში მკურნალობდა 9334 ავადმყოფი (2014 წელს 7112). აქედან 4909 ბავშვი, მათ შორის ერთ წლამდე ასაკის - 700. სასუნთქი ორგანოების დაავადების დიაგნოზით სტაციონარებში გარდაიცვალა სულ 213 (2014წ-149) ავადმყოფი (ლეტალობა - 2,2), მათ შორის 0-1 წლამდე - 3. პნევმონიით - 63 (ლეტალობა - 2,6),

ასთმა ჯანდაცვის სეროიზულ პრობლემას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში, დღეისათვის ასთმით დაავადებულია მთლიანი პოპულაციის 5%.

2015წელს რეგიონში ბრონქული ასთმის დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 1223 ავადმყოფი (2014 წელს -1514), დაავადებიაზობის მაჩვენებელი - 304, ასთმის დიაგნოზი სიცოცხლეში პირველად დაუდგინდა 232 ავადმყოფს (2014 წელს- 266) ინციდენტობა - 58.

ბრონქული ასთმის დინამიკა 2001-2015 წწ




ბრონქული ასთმის დიაგნოზით სტაციონარში გატარებული იყო 10 ავადმყოფი, გატარებული საწოლდღეების რაოდენობაა 39.

ნერვული სისტემის დაავადებები

2015 წელს ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით რეგისტრირებულია 6054 პაციენტი, ინციდენტობა 1508; 2014 წელს – 6206 შემთხვევა, ავადობის მაჩვენებელი 1553; 2013 წელს იგივე მონაცემი შეადგენდა 3125 შემთხვევას, ავადობის მაჩვენებელი 787,6. 2015 წელს აღირიცხა ნერვული სისტემის დაავადებების 18198 შემთხვევა, პრევალენტობა 4533.

ნერვული სისტემის დაავადებების დინამიკა 2001-2015წწ




15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული შემთხვევებიდან პირველადია 814, ინციდენტობის მაჩვენებელი 1055.

ნერვული სისტემის დაავადებებში წამყვანი ადგილი უჭირავს ეპიზოდურ და პაროქსიზმულ დარღვევებს, ამ დიაგნოზით 2015 წლის განმავლობაში აღრიცხულია 5374 შემთხვევა, მათგან პირველად ცხოვრებაში დიაგნოსტირებულია 1704 (საერთო რაოდენობის 28%) შემთხვევა (ინციდენტობა - 424), წლის განმავლობაში პირველად დადგნილი დიაგნოზით გამოვლენილ შემთხვევათა შორის პირველ ადგილზეა პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობები (2420 შემთხვევა), რაც პირველადი პათოლოგიების 40%-ს შეადგენს, ინციდენტობის მაჩვენებელი 600. ექსტრაპირამიდული და მოძრაობის სხვა მოშლილობები -307 შემთხვევა (ინციდენტობა - 76), საერთო რაოდენობის 5,1%, ცხოვრებაში პირველად დიაგნოსტირებული ცენტრალური ნერვული სისტემის დამაზიანებელი სისტემური ატროფიები -290, საერთო რაოდენობის 5% , ინციდენტობა 72.

ნერვული სისტემის დაავადებების (პირველად რეგისტრირებული) პროცენტული გადანაწილება

სულ -6054




რეგიონში ნერვული სისტემის დაავადებით სტაციონარებში მკურნალობდა 1700 ავადმყოფი მათ შორის 15 წლამდე ასაკის 47 ბავშვი და მ.შ.1 წლამდე – 7 (2014 წელს - 1458 ავადმყოფი, მათ შორის 52 ბავშვი, 2 ბავშვი 0-1 წლამდე). მათ მიერ ჰოსპიტალში გატარებული საწოლდღეები შეადგენს 7709, გარდაიცვალა 24 ავადმყოფი (ლეტალობა - 1,4). ეპიზოდური და პაროქსიზმული დარღვევებით სტაციონარში იმკურნალა 1554–მა პაციენტმა, გარდაიცვალა 17 (ლეტალობა - 1,1%), პერიფერიული ნერვული სისტემის ავადმყოფობებით მკურნალობდა 29 ავადმყოფი (გატარებულია 85 საწოლდღე).

საჭმლის მომნელებელი სისტემა


2015 წელს საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების დიაგნოზით რეგისტრირებული იყო 18 450 ავადმყოფი, დაავადებიალობა 100 000 მოსახლეზე - 4596 (2014 წელს რეგისტრირებული იყო 25 325, 2013 წელს - 22 943). სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით აღრიცხულია 8424 ავადმყოფი, ინციდენტობა 2098 (2014 წელს შემთხვევათა რაოდენობამ შეადგინა 12 515, ავადობა -3132; 2013 წელს შემთხვევები – 12 725, ავადობა - 3207). რეგისტრირებული შემთხვევებიდან - 2946 ბავშვებშია აღრიცხული, პრევალენტობა 3819 (2014 წელს აღრიცხა 3627 შემთხვევა პრევალენტობა - 4777; 2012 წელს აღრიცხა 3215 შემთხვევა პრევალენტობა - 4434), აქედან 1869 სიცოცხლეში პირველად დადგენილი დიაგნოზით, ინციდენტი 2423 (2014 წელს იგივე მონაცემი - 2379 შემთხვევა, ინციდენტობა - 3133; 2013 წელს - 1855 შემთხვევა, ინციდენტობა - 2506).

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებათა დინამიკა 2001-2015წწ



საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების ნოზოლოგიებში მაღალია პირის ღუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები – 21%, გასტრიტი და დუოდენიტი დაავადებულთა წილი – 19%, ნაღვლის ბუშტის, სანაღვლე გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები – 14%, კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული – 8%, არაინფექციური ენტერიტი და კოლიტი – 8%.

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების პროცენტული გადანაწილება, აჭარა 2015



წელი

2015 წელს რეგიონის სტაციონარებში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადების დიაგნოზით მკურნალობდა 3881 ავადმყოფი, მათ შორის 233 ბავშვი (6,1%), გარდაიცვალა 112.

სტაციონარში საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებების 21% ნაღვლის ბუშტის და სანაღვლე გზების ავადმყოფობებზე მოდის (ჰოსპიტალიზირებულია 816 ავადმყოფი), თიაქარით ჰოსპიტალიზირებულია 1023 ავადმყოფი, რაც შეადგენს 27%-ია .

საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, აჭარა 2015წ

დაავადება	ჰოსპიტალური პაციენტების რაოდენობა				გარდაცვალება		
	სულ	მოზრდილები	15 წლამდე	1 წლამდე	მოზრდილები	15 წლამდე	1 წლამდე
საჭმლის მომნელებელი სისტემის ავადმყოფობები	3769	3536	233	26	112	0	0
მათ შორის: პირის ღრუს, სანერწყვე ჯირკვლებისა და ყბების ავადმყოფობები	10	9	1	0	0	0	0
კუჭისა და თორმეტგოჯა ნაწლავის წყლული	389	389	0	0	21	0	0
გასტრიტი და დუოდენიტი	4	4	0	0	0	0	0
ჭია ნაწლავის ავადმყოფობები	753	669	84	0	0	0	0
თიაქარი	1023	70	26	0	16	0	0
პერიტონეუმის ავადმყოფობები	96	70	26	0	16	0	0
ღვიძლის ავადმყოფობები	94	94	0	0	37	0	0
ნაღვლის ბუშტის, ნაღვლის გზებისა და პანკრეასის ავადმყოფობები	816	814	2	0	5	0	0
მ.შ.ქოლელითიაზი, ქოლეცისტიტი	672	671	1	0	4	0	0


ტრავმები და უბედური შემთხვევები

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ევროპაში მოკვდავობის 10% ტრავმებით არის გამოწვეული. საქართველოში ისევე როგორც ევროპის მთელ ტერიტორიაზე ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას უბედური შემთხვევები და ტრავმები წარმოადგენს, რაც დიდ საზრუნავს უქმნის ჯანმრთელობის დაცვის სისტემას.

2015 წელს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დარეგისტრირდა ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების 16 407 შემთხვევა, პრევალენტობა - 4087 (2014 წელს დარეგისტრირდა 12 151 შემთხვევა, პრევალენტობა - 3041), მათ შორის

9223 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 2297 (2014 წელს - 5939 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 1486; 2013 წელს - 3421 ახალი შემთხვევა, ინციდენტობა - 777,3). 0-15 წლამდე ასაკში რეგისტრირებული იყო 1125, პრევალენტობა 1458 (2014 წელს ბავშვებში რეგისტრირებული იყო 845 შემთხვევა, პრევალენტობა - 1113; 2013 წელს - 1204 შემთხვევა, პრევალენტობა - 1524), მათ შორის 993 ახალი შემთხვევა, ინციდენტი -1287 (2014 წელს ინციდენტობამ შეადგინა - 790, 600 შემთხვევით; 2013 წელს ინციდენტობა - 792, შემთხვევა-626).


ტრავმების დინამიკა, აჭარა 2001-2015 წწ



სხვადასხვა ლოკალიზაციის ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედების შემთხვევათა შორის ყველაზე ხშირი იყო ჭრილობების, სისხლძარღვთა დაზიანების, ზედაპირული ტრავმების, დაჟეჟილობებისა და დაჩეჩვილობების შემთხვევები, რამაც ამ კლასის დაავადებების 35% შეადგინა. შემდეგ ადგილზე მოდის ზედა

და ქვედა კიდურების ძვლების მოტეხილობა 20%, ამოვარდნილობები (მოტეხილობების გარეშე), დაჭიმულობები, დამაბულობა 14% და სამკურნალო ნივთიერებებით, მედიკამენტებით და სხვა ბიოლოგიური ნივთიერებებით მოწამვლები 2%.

ტრავმების პროცენტული გადანაწილება, აჭარა, 2015 წელი



ტრავმების, მოწამვლებისა და გარეგანი მიზეზების ზემოქმედებით სტაციონარში მკურნალობდა 1727 ავადმყოფი, მათ შორის 15 წლამდე ასაკის 156 ბავშვი, გარდაიცვალა სულ 44 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი 3%).

ფსიქიკური ჯანმრთელობა

ადამიანის ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს ნაწილს მისი ფსიქიკური ჯანმრთელობა წარმოადგენს.

ფსიქიკური აშლილობები ავადობისა და ინვალიდობის გამომწვევ მიზეზთა შორის წამყვან ადგილს იჭერს. შრომისუნარობის გამომწვევი ათი ძირითადი დაავადებიდან სავარაუდოდ ხუთი ფსიქიკური აშლილობაა.

რეალურად ფსიქიკური პრობლემების მქონე პირთა რაოდენობა ბევრად მეტია, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს, რადგან ფსიქიატრიული სერვისების დაბალი დონე, გეოგრაფიული და ფინანსური ხელმიუწვდომლობა და სტიგმის გამო მოსახლეობის გარკვეული ნაწილი არ მიმართავს ამ სერვისებს. მეცნიერთა აზრითა და სტატისტიკური მონაცემებით 2020 წლისათვის მსოფლიოში შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირთა მაჩვენებელი გულის იშემიური დაავადების შემდეგ დეპრესია იქნება.


საქართველოში დღეისათვის ოფიციალურად აღრიცხულია დაახლოებით 100 000 ფსიქიკური აშლილობის მქონე ადამიანი, ხოლო ფსიქიატრიულ სტაციონარებში იმყოფება საშუალოდ 1200 პაციენტი.

ექსპერტთა შეფასებით საქართველოში სულ მცირე 240 000 ნარკოტიკების მომხმარებელია, რომელთაგანაც სავარაუდოდ 80 000 ნარკოტიკებს ინექციური გზით მოიხმარს, ხოლო ამ უკანასკნელთაგან 30 000 – 35 000 დაავადებულია წამალდამოკიდებულებით, რაც ასევე წარმოადგენს სერიოზულ ფსიქიკურ პრობლემას.

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში 2015 წელს რეგისტრირებულია ფსიქიური და ქცევითი აშლილობის მქონე 8031 პიროვნება, მათ შორის ცხოვრებაში პირველად დადგენილი დიაგნოზით - 138 (პრევალენტობა 2000, ინცინდენტობა-34,3). ორგანული ბუნების აშლილობებით რეგისტრირებულია 1487 ავადმყოფი, მათ შორის ცხოვრებაში პირველად 16 შემთხვევა.

2015 წლის განმავლობაში სტაციონარულ მკურნალობაზე იმყოფებოდა 502 ავადმყოფი, მ.შ. ფსიქიური აშლილობებით (შიზოფრენიით, შიზოტოპური და ბოდვითი აშლილობებით)-399, აფექტური აშლილობით - 22 ავადმყოფი, გონებრივი ჩამორჩენილობით - 31 ავადმყოფი. გარდაიცვალა - 1 ავადმყოფი (ლეტალობის მაჩვენებელი - 0,2).


შემთხვევათა განაწილება სტაციონარში, 2015 წ.აჭარა



აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ინფექციური და პარაზიტული დაავადებებით ავადობა

2015 წელს ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა გადამდებ დაავადებათა 30 695 შემთხვევა, რაც 38%-ით მეტია 2014 წლის მონაცემებთან შედარებით (2014წ- 22 212).

**გადამდებ დაავადებათა ავადობის დინამიკა
აჭარა, 2005 წ-2015წ**




სულ აღრიცხული შემთხვევებიდან ქ.ბათუმში დარეგისტრირდა -16474 , ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში-4663 შემთხვევა, ქობულეთის მუნიციპალიტეტში -6986, ქედის მუნიციპალიტეტში - 759, შუახევის მუნიციპალიტეტში - 987, ხულოს მუნიციპალიტეტში – 826.

შემთხვევათა და კვლევათა განაწილება ადმინისტრაციულ ტერიტორიული ერთეულების მიხედვით, აჭარა, 2015 წ

ადმინისტრაციულ/ ტერიტორიული ერთეული	რეგისტრირებულ შემთხვევათა საერთო (რ/ზა)		მ.შ. სასწრაფო შეტყობინება იქნა მიღებული შემთხვევაზე (რ/ზა)		ეპიდკვლევას დაექვემდებარა (რ/ზა, ცოფის რისკის მქონე ექსპოზიციის ჩათვლით)	
	რ/ზა	% საერთო რ/ზიდან	რ/ზა	% მ.შ.	რ/ზა	% მ.შ.
ბათუმი	16474	53	1991	12	901	45
ქობულეთი	6986	23	938	13	355	38
ხელვაჩაური	4663	15	663	14	271	41
ქედა	759	3	103	13	17	17
შუახევი	987	3	66	6	25	38
ხულო	826	3	85	10	17	20
აჭარა	30695		3846	12	1586	41

გადამდებ დაავადებათა შემთხვევების ხვედრითი წილი 0-14 წლის ასაკობრივ ჯგუფში - შეადგენს საერთო რაოდენობის 51%, რაც შეესაბამება 15507 შემთხვევას.


გადამდებ დაავადებათა სპექტრი ცალკეული ნოზოლოგიების მიხედვით, აჭარა, 2015 წელი



გადამდებ დაავადებათა სტრუქტურაში 2015 წელს წამყვანია სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, სპორადული შემთხვევების სახითაა წარმოდგენილი - მენინგოკოკცემია, იმუნიზაციით მართვადი ინფექციები (წითელა, წითურა, ყბაყურა და ყივანახველა).


ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა აჭარისათვის შეადგენს 7680-ს. აჭარის საშუალო მაჩვენებელზე მაღალია მაჩვენებელი ქობულეთის მუნიციპალიტეტსა და ქალაქ ბათუმში. აჭარის საშუალო მაჩვენებლის ტოლია ხელვაჩაურში, ხოლო დაბალია - ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტებში.

ინფექციურ დაავადებათა ზოგადი პრევალენტობა, აჭარა, 2015 წ



სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა - მიმდინარე წელს აღირიცხა სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 15322 შემთხვევა, რაც გასული წლის მონაცემებთან შედარებით (2014წ -10392 შემთხვევა) 4930 ერთეულით მეტია.

სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეა, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით, აჭარა 2013–2015წ




დიარეით მიმდინარე შემთხვევების 63% მოდის 0–14 წლის ასაკობრივ ჯგუფში (9698 შემთხვევა).

➤ **ჯგუფური შემთხვევები**

მიმდინარე წელს აჭარაში დარეგისტრირდა: სავარაუდო ინფექციური წარმოშობის დიარეის 6 და 9 სავარაუდო საკვებისმიერი მოშამვის ჯგუფური შემთხვევა. აქედან 5 შემთხვევაში გამოვლინდა საექვო პროდუქტი.

მწვავე ვირუსული ჰეპატიტის პირველადი დიაგნოზით დაფიქსირდა 11 B მწვავე და 28 A მწვავე ვირუსული ჰეპატიტის შემთხვევა, C მწვავე ჰეპატიტის 1 შემთხვევა. 2014 წლის მონაცემებია: B მწვავე –17, A მწვავე ვირუსული ჰეპატიტის 20.

A ვირუსული + სხვა მწვავე ვირუსული ჰეპატიტი, შემთხვევათა მრავალწლიანი დინამიკა




2015 წელს დაფიქსირდა ქრონიკული B ჰეპატიტი –559, ქრონიკული C –1411 შემთხვევა. 2014 წელს კი ქრონიკული B ჰეპატიტი –518, ქრონიკული C –699. გასულ წელთან შედარებით 2015

წელს ქრონიკული C ჰეპატიტის შემთხვევათა მატება განაპირობა „C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის“ ამოქმედებამ.

ჩუტყვავილათი ავადობის დინამიკაში ეპიდემიური პროცესის 2-3 წლიანი ციკლორობაა დამახასიათებელი, რაც სპეციფიურია ამ დაავადებისათვის. გასული წლის მონაცემებთან შედარებით, 2015 წელს დაფიქსირდა შემთხვევათა მატება 28%-ით (2015წ 882 შემთხვევა, 2014 წელს–688).

ჩუტყვავილას შემთხვევათა განაწილება ,აჭარა, 2004წ-2015წ



იმუნიზაციით მართვადი ინფექციები - მიმდინარე პერიოდში ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა წითელას 6 შემთხვევა მ.შ. ბათუმი–4, ქობულეთი–2. რეგისტრირებული წითელას 6 შემთხვევიდან 3 სავარაუდოა, 3 – დადასტურებული (მ.შ. 2 ლაბორატორიულად და 1 ეპიდკავშირით). 3 ბავშვი აცრილია ასაკობრივად, 1 არასრულად აცრილი, 2 აცრის სტატუსი–უცნობი (მოზრდილი).

2015 წელს დაფიქსირებულია ყბაყურას 11 შემთხვევა, გასული წლის მონაცემებთან შედარებით აღინიშნება მატება 5 ერთეულით (2014 წელს 6 შემთხვევა). 11 შემთხვევიდან 2 ასაკობრივად არ ექვემდებარებოდა აცრას, 8 აცრილია კალენდრის მიხედვით, 1-ის (მოზრდილი) აცრის სტატუსი უცნობია. კლება შეინიშნება წითურას მიმართაც. გასულ წელს ფიქსირდებოდა 6 შემთხვევა, ხოლო 2015 წელს კი 5 შემთხვევა, მ.შ. 3 აცრილია ასაკობრივად, 1 არასრულად აცრილი, ერთს დროებითი უკუჩვენების გამო ვაქცინის მეორე დოზა არ მიუღია.


კლებადი დინამიკა აღინიშნება ყივანახველასთან მიმართებაში, საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებულია დაავადების 15 შემთხვევა, რომელთაგანაც ასაკობრივად აცრილია–3, 8–ასაკობრივად აცრას არ ექვემდებარებოდა, 2 არასრულყოფილად აცრილი. 2 აუცრელი, აქედან 1 (მშობლის უარი). 2014 წელს დაფიქსირდა 17 შემთხვევა.

ტუბერკულოზი

ეპიდზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში მოექცა ტუბერკულოზის 294 შემთხვევა. მ.შ. 144 ფილტვის ტუბერკულოზის მგბ დადებითი ფორმა, 102 მგბ უარყოფითი და 48 ფილტვგარეშე ტუბერკულოზის შემთხვევა. გასული წლის ამავე პერიოდთან შედარებით,

აღინიშნება ტუბერკულოზის შემთხვევათა 10%-იანი კლება (2014წ –326 შემთხვევა). საანგარიშო პერიოდში ეპიდკვლევა ჩატარდა მგბ დადებითი ტუბერკულოზის 144 კერაში, გამოვლინდა 531 კონტაქტირებული პირი.


ფილტვისა და ფილტვარეშე ტუბერკულოზის % განაწილება, აჭარა, 2015 წელი



ლევტოსპიროზი

2015 წელს დარეგისტრირდა ლევტოსპიროზის 10 შემთხვევა. 2014 წელთან შედარებით აღინიშნება კლება 35 ერთეულით (2014 წელი– 45 შემთხვევა), როგორც დიაგრამიდან ჩანს, შემთხვევათა მატება იწყება ზაფხულის პერიოდიდან და მოიცავს შემოდგომის სეზონსაც.

ლევტოსპიროზი, შემთხვევათა განაწილება თვეების მიხედვით
აჭარა, 2013-2015 წ



მენინგოკოკემია

2015 წელს აღირიცხა მენინგოკოკემიის 2 შემთხვევა, ხოლო 2014 წელს 3 შემთხვევა.


2015 წელს სასწრაფო შეტყობინება/ეპიდკვლევა/ანგარიშგებას დაექვემდებარა 15–49 წლის ასაკის ქალის სიკვდილის 49 შემთხვევა, მათ შორის 13 შემთხვევაში სიკვდილის მიზეზი იყო სხვადასხვა ორგანოს სიმსივნე, 5 შემთხვევაში თავის ტვინში სისხლის მიმოქცევის მოშლა, 4 შემთხვევაში ლოგინობასთან და მშობიარობასთან დაკავშირებული გართულება, 4 – ღვიძლის პათოლოგია, 3 – უბედური შემთხვევა. დანარჩენი 20 სხვადასხვა მიზეზით გამოწვეული სიკვდილი.

0 დან 5 წლამდე ასაკის ბავშვის სიკვდილის 24 შემთხვევა მოექცა დაავადებათა ზედამხედველობის ერთიან ინტეგრირებულ სისტემაში, სიკვდილიანობა დაკავშირებულია სხვადასხვა მიზეზებთან, ასაკობრივად 18 შემთხვევა მოდის 1 წლამდე ასაკზე, ხოლო 6 შემთხვევა 1 წლიდან 5 წლამდე.

➤ ანტირაბიული მომსახურება

2015 წელს ანტირაბიული დახმარებისათვის სამედიცინო დაწესებულებებს მიმართა 3483 პაციენტი, რაც 11%-ით ნაკლებია 2014 წლის იმავე პერიოდის მონაცემებთან შედარებით (3930).

ანტირაბიული დახმარებისათვის პაციენტთა მომართვიანობა
აჭარა 2002-2015 წლებში




ანტირაბიული ვაქცინაციის სრული კურსი ჩაუტარდა 863 (27,9%) პაციენტს, არასრული 2229 (72,%), ვაქცინაცია დაასრულა დაზარალებულთა 88,71% (3092), მკურნალობა შეწყვიტა 94 (2,69%). კომბინირებული (იმუნოგლობულინი+ვაქცინა) მკურნალობა დასჭირდა 994 პაციენტს, მომართულთა 28,5%-ს.

ანტირაბიული კომპონენტის ფარგლებში გაწეული მომსახურება, 2015 წელი- აჭარა

პერიოდი	მომართულია რაოდენობა	ვაქცინაცია დასრულა	ცენტრში შემოსული შეტყობინება			ვიზიტი კერაში	ინფორმაცია ვებ-საშუალებებში	კომუნიკაცია ვებ-საშუალებებში
			სულ	მ.შ.შეწყვეტილი	ცოფისკერა /კლ/ლაბ/			
2013 წ	3294	2870	787	761	26	153	1584	397
2014 წ	3930	3557	984	937	47	196	1984	384
2015 წ	3483	3092	897	883	14	178	1594	359

ანტირაბიული დახმარებისათვის მომართვიანობა რაიონულ ჭრილში, 2015წ



აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროგრამები

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2015 წლის ბიუჯეტი (ნაერთი) – **8 866 798** ლარს შეადგენდა, ნაერთი ბიუჯეტის პროგრამული ნაწილი 6 394 789 ლარი;

სამინისტროს პროგრამული ბიუჯეტი - **5 913 748** ლარი. შესრულება - 5 910 395 ლარი. (99,95%); მართვის ხარჯი - 1.576 252 ლარი, შესრულება 1 564 624 ლარი (99.24%).

საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამული ბიუჯეტი - 381 041 ლარი, შესრულება 373 092 ლარი(97.91%), მართვის ხარჯი - 516957 ლარი, შესრულება 513 715 ლარი (99.37%).

დასაქმების სააგენტოს პროგრამული ბიუჯეტი - 100 000 ლარი, შესრულება 98 947 ლარი (98%). მართვის ხარჯი - 378 800 ლარი, შესრულება 375 436 ლარი (99.11%).

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები - **4 623 342** ლარი, სოციალური დაცვის პროგრამები - **1 182 406** ლარი.

სამედიცინო მომსახურების მიწოდება (2015 წლის განმავლობაში)

2015 წლის განმავლობაში სამინისტროში მოქმედი პროგრამებით ისარგებლა სულ **54 892** მოქალაქემ.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამებით ისარგებლა 5112 ბენეფიციარმა, თანხა-3 609 142 ლარი;

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა - 4356 პაციენტს (85%) - საქართველოს სხვა კლინიკებში კი- 756 პაციენტს (15%).

მოსახლეობის ინდივიდუალური სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა (1 622 559 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი - სოციალურად დაუცველი და სხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობისათვის მკურნალობასთან დაკავშირებული იმ ფინანსური რისკებისაგან დაცვა, რომელიც ვერ იფარება მოქმედი სახელმწიფო სამედიცინო პროგრამებით.

გაცემულია 2567 ვაუჩერი. თანხა -1 662 152 ლარი;

**მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული
ერთეულების მიხედვით:**

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	1237	788 579
ქობულეთი	493	287 649
ხელვაჩაური	423	289 119
ქედა	155	82 281
შუახევი	130	67 114
ხულო	129	107 411
სულ	2567	1 622 152

გულის ქირურგიის ქვეპროგრამა (1 205 366 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – 18-წლის ასაკიდან მოსახლეობის (რომლებიც არ სარგებლობენ სახელმწიფოს ბიუჯეტით დაფინანსებული სხვადასხვა სამედიცინო პროგრამებით) კარდიოქირურგიული მკურნალობა, გულის დაავადებების მძიმე ფორმებით გამოწვეული ლეტალობისა და შესაძლებლობის შეზღუდვის შემცირება.

სულ გაიცა 414 ვაუჩერი. თანხა-1 205 365 ლარი;

**მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული
ერთეულების მიხედვით:**

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	202	554 302
ქობულეთი	111	339 562
ხელვაჩაური	68	216 806
ქედა	9	12 170
შუახევი	12	49 081
ხულო	12	33 444
სულ	414	1 205 365

სახსრების ენდოპროთეზირების ქვეპროგრამა (280 630 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური კატეგორიისათვის სახსრების ენდოპროთეზირების (გადაგვარებული ან დაზიანებული სახსრის ჩანაცვლება ხელოვნური იმპლანტით) ჩატარებაზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაცემულია 91 ვაუჩერი. თანხა -280 630 ლარი;

**მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული
ერთეულების მიხედვით:**

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	41	131 677
ქობულეთი	20	52 686
ხელვაჩაური	21	69 415
ქედა	4	10 852
შუახევი	3	8000
ხულო	2	8000
სულ	91	280 630

**ამბულატორიული მაღალტექნოლოგიური დიაგნოსტიკური კვლევის
ქვეპროგრამა (501 000 ლარი)**

ქვეპროგრამის მიზანი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის მაღალტექნოლოგიურ დიაგნოსტიკურ კვლევებზე ფინანსური ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

გაცემულია 2040 ვაუჩერი. თანხა-500 995 ლარი;

**მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული
ერთეულების მიხედვით:**

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	472	111 761
ქობულეთი	639	154 904
ხელვაჩაური	371	96 214
ქედა	182	43 839
შუახევი	181	46 621
ხულო	195	47 657
სულ	2040	500 995

**სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა
(750 787 ლარი)**

ქვეპროგრამის მიზანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის უზრუნველყოფა ექიმამდელი სამედიცინო დახმარებითა და პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის საჭირო მედიკამენტებითა და სადიაგნოსტიკო საშუალებებით.

სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 225 992 სოფლის მოსახლეს. პირველადი დახმარების მედიკამენტებზე, სადიაგნოსტიკო საშუალებებსა და შესახვევ მასალაზე გაიხარჯა 73 079 ლარი. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის შრომის ანაზღაურებაზე გაიხარჯა 677 522 ლარი.

სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების ქვეპროგრამა – (263 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – საექიმო კადრების სოფლებში დამაგრება და მათი სოციალურ-ეკონომიური პირობების გაუმჯობესება, მუნიციპალიტეტების სოფლის მოსახლეობისათვის ბაზისური, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების მიწოდების მიზნით. (მაღალმთიანი მუნიციპალიტეტების (ქედა, შუახევი, ხულო) სოფლის ექიმებისათვის – 300 ლარი, ხელვაჩაურის და ქობულეთის სოფლის ექიმებისათვის – 150 ლარი).სამედიცინო მომსახურება ჩაუტარდა 137 108 სოფლის მოსახლეს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავარობის სარეზერვო ფონდიდან მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური დახმარებისა და სამედიცინო მომსახურებისათვის გამოიყო 540 093 ლარი, გაიხარჯა 537 690 ლარი, აქედან:

- ა) 88 პაციენტის მკურნალობისათვის – 367 231 ლარი.
- ბ) 3 პაციენტისათვის მედიკამენტის შეძენა – 20 300 ლარი.
- გ) 10 ოჯახისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარება – 106 575 ლარი.
- დ) 2 გარდაცვლილი მოქალაქის გადმოსვენება საზღვარგარეთიდან – 19 724 ლარი.
- ე) ქობულეთში ხანძრის შედეგად დაზარალებულთა ტრანსპორტირებისათვის - 570 ლარი.
- ვ)ქ.თბილისში სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ბავშვებისა და უკრაინის ტერიტორიული მთლიანობისათვის მეზრძოლი ჯარისკაცების შვილების რეაბილიტაციისათვის - 23 290 ლარი.

სოციალური დაცვის პროგრამები

**ცერებრალური დამბლით დაავადებულ ბავშვთა ფსიქოსომატური აბილიტაცია/ რეაბილიტაცია
(602 730 ლარი)**

ქვეპროგრამის მიზანი – ბავშვთა ცერებრული დამბლის, ცენტრალური ნერვული სისტემის ანთებითი და სისხლძარღვოვანი დაავადებების ნარჩენი მოვლენების, ძვალ-სახსროვანი დაავადებების მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვების ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება ფსიქოსომატური რეაბილიტაციის მიწოდებით (ფიზიკური თერაპია, მეტყველების თერაპია, ექიმის მეთვალყურეობა, ბავშვის და მშობლის ფსიქოლოგიური დახმარება).

- ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 2653 ვაუჩერი, რეაბილიტაციის 2584 კურსი ჩაუტარდა 736 ბავშვს

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	1201	279 962
ქობულეთი	516	120 392
ხელვაჩაური	591	137 869
ქედა	62	14 463
შუახევი	99	23 098
ხულო	115	26 830
სულ	2584	602 615

სქოლიოზით დაავადებულ ბავშვთა რეაბილიტაცია
(107 706 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – სქოლიოზით დაავადებული ბავშვებისათვის სარეაბილიტაციო ღონისძიებების (სამკურნალო ფიზკულტურა, მასაჟი, ორთოპედის კონსულტაცია, რენტგენოლოგიური კვლევა) დაფინანსება.

- ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 625 ვაუჩერი, დაფინანსდა რეაბილიტაციის 607 კურსი

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ბათუმი	127	22 406
ქობულეთი	73	12 954
ხელვაჩაური	76	13 488
ქედა	54	9 572
შუახევი	32	5 518
ხულო	246	43768
სულ	625	107 706

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვთა სოციალური ადაპტაცია
(11 700 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების სამედიცინო მეთვალყურეობა, მათ საჭიროებებზე მორგებული სწავლება, ფსიქოლოგიური დახმარება, სადღეღამისო მომსახურება კვებით, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, საგანმანათლებლო და გასართობი ღონისძიებების ორგანიზება.

ქვეპროგრამის ფარგლებში გაიცა 26 ვაუჩერი, რისთვისაც გაიხარჯა 11 700 ლარი.

მომხმარებელთა (ბენეფიციართა) რაოდენობა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით:

მუნიციპალიტეტი	გაცემული ვაუჩერი	თანხა
ქობულეთი	3	1350
ხელვაჩაური	0	0
ქედა	3	1350
შუახევი	7	3150
ხულო	13	5850
სულ	26	11 700

შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე და ხანდაზმულ პირთა გადაადგილების საშუალებებით უზრუნველყოფა (66 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – გადაადგილების პრობლემის მქონე პირთა გადაადგილების საშუალებით სავარძელ-ეტლით უზრუნველყოფა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და ხანდაზმულთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება.

220 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა სავარძელ-ეტლით.

- ბათუმი 80
- ქობულეთი 54
- ხელვაჩაური 48
- ქედა 9
- შუახევი 10
- ხულო 19

სმენადაქვეითებულ მოქალაქეთა სმენის აპარატებით უზრუნველყოფა (12 000 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი – სმენადაქვეითებულ პირთა უზრუნველყოფა სმენის აპარატებით, მათი ფუნქციური დამოუკიდებლობის ხარისხის ამაღლება და საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა.

298 ბენეფიციარი დაკმაყოფილდა სმენის აპარატით (2 ბავშვზე გაიცა ორ-ორი აპარატი).

- ბათუმი 144
- ქობულეთი 38
- ხელვაჩაური 69
- ქედა 13
- შუახევი 16
- ხულო 20

**უსინათლოთა მოქალაქეების უსინათლოთა „თეთრი“ ხელჯოხებით უზრუნველყოფა
(1000 ლარი)**

მიზანი-უსინათლო მოქალაქეების სოციალური ინტეგრაციის გაუმჯობესება და ცხოვრების ხარისხის ამაღლება. გაიცა 13 ვაუჩერი. გაიხარჯა 650 ლარი.

- ბათუმი - 7
- ქობულეთი - 6

**100 წელს გადაცილებულ მოქალაქეებზე ერთჯერადი დახმარება
(47 000 ლარი)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა 100 წლის და მეტის ასაკის მოქალაქეებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევას 1 000 ლარის ოდენობით, მათი ყოფითი და სოციალური პირობების ნაწილობრივ გაუმჯობესებას.

დახმარება გადაეცა 46 მოქალაქეს, რისთვისაც გაიხარჯა 46 000 ლარი.

- ბათუმი 9
- ქობულეთი 7
- ხელვაჩაური 5
- ქედა 7
- შუახევი 4
- ხულო 14

**ახალშობილი ტყუპების ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარება
(136 000 ლარი)**

ქვეპროგრამის მიზანი – ახალშობილი ტყუპების ოჯახებისათვის ერთჯერადი მატერიალური დახმარების გაწევა თითოეულ ტყუპისცალზე 1 000 ლარის ოდენობით.

დახმარება გადაეცა 67 ოჯახს, რისთვისაც გაიხარჯა 136 000 ლარი.

- ბათუმი 28
- ქობულეთი 15
- ხელვაჩაური 17
- ქედა 1
- ხულო 12

**2008 წლის რუსული აგრესიისა და 2012 წელს ავღანეთში დაღუპულთა
ოჯახების დახმარება
(79 000 ლარი)**

ქვეპროგრამა ითვალისწინებდა 2008 წლის რუსული აგრესიის შედეგად, ასევე 2012 წელს ავღანეთში საერთაშორისო სამხედრო მისიის შესრულების დროს დაღუპული 19 მეომრის დედებისა და მეუღლეებისათვის დედის დღესთან და ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით თითოეულისათვის 1 000 ლარის ოდენობით, ხოლო აგვისტოს ომის წლისთავზე ოჯახებისათვის 3 000 ლარის ოდენობით დახმარების გაწევას.

დახმარება გადაეცა ომში დაღუპულთა დედებსა და მეუღლეებს, რისთვისაც გაიხარჯა 21 000 ლარი, ასევე მეომრების ოჯახებს, რისთვისაც გაიხარჯა 57 000 ლარი.

მიუსაფარ დედათა და ბავშვთა საცხოვრებლით უზრუნველყოფა (119 270 ლარი)

ქვეპროგრამის მიზანი იყო მიუსაფარ დედათა და ბავშვთა უზრუნველყოფა დროებითი 24 საათიანი თავშესაფრით და უსაფრთხო გარემოთი, ბენეფიციართა ფსიქოლოგიური დახმარება, პროფესიული და არაფორმალური განათლების ხელშეწყობა, დასაქმებაში დახმარება, სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, სოციალური უნარ-ჩვევების სწავლება, მათი სოციალური ადაპტაციის ხელშეწყობა.

თავშესაფრის მომსახურებით ისარგებლა 22 ბენეფიციარმა (10 დედა და 12 ბავშვი), რაზედაც გაიხარჯა 119 255 ლარი.

**სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საზოგადოებრივი ჯანდაცვის
ცენტრი**

ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2015 წლისათვის ძირითადი მიზნებისა და ამოცანების უზრუნველსაყოფად შეადგენდა 915 138 ლარს, მათ შორის ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ბიუჯეტი – 381 041 ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ნაერთი ბიუჯეტი 2015 წლისათვის

პროგრამა/ღონისძიება	ბიუჯეტი(ლარი)	
	2015 წლის გეგმა	საკასო ხარჯი
სულ ასიგნებები	915 138	904 032
აპარატის ხარჯები	514 957	513 715
ქვეპროგრამა–დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა	381 041	373 092
ღონისძიება–ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა	69 468	67 269
ღონისძიება– მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში	110 087	110 087
ღონისძიება– ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა	91 056	89 166
ღონისძიება– ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში (სამიზნე ჯგუფი)	77 333	76 190
ღონისძიება– კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში	26 888	24 347
ღონისძიება– სმენის სკრინინგი ახალშობილებში	6 210	6 033

- ღონისძიება– ეპიდზედამხედველობის განხორციელება, ეპიდსიტუაციის მართვა და ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

ღონისძიება ითვალისწინებს: გადამდები და პარაზიტული დაავადებების შემთხვევების /ეპიდაფეთქებების ადრეულ დიაგნოსტიკასა და მართვას, ეპიდსაწინააღმდეგო ღონისძიებების დროულ და ადეკვატურ მენეჯმენტს, ეპიდაფეთქებათა ლოკალიზაციას.

პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმატიულობის ზრდას.

აჭარის ტერიტორიაზე განხორციელდა ეპიდკვლევას დაქვემდებარებულ დაავადებათა 689 კერის (ცოფის ექსპოზიციის გარდა) კვლევა შესაბამისი 777 ვიზიტით: მათ შორის ბათუმში–356 კერა, ქობულეთში –134, ხელვაჩაურში–156, ქედაში–14, შუახევიში–19, ხულოში –10.

➤ ანტირაბიული ღონისძიებები

ცოფისა და ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარებულ კერაში განხორციელდა 537 ვიზიტი; აქედან ცოფის კერაში –359, ხოლო ვეტსამსახურში კი 178 საკომუნიკაციო ვიზიტი; აღნიშნული ვიზიტები მუნიციპალურ ჭრილში შემდეგნაირად ნაწილდება: ბათუმში – 122 ვიზიტი, ქობულეთის მუნიციპალიტეტი – 272, ხელვაჩაური –15, ქედა – 64, შუახევი – 35, ხულო – 29 ვიზიტი. კერაში ვიზიტისას გამოვლიდნენ ის პირებიც, რომლებიც საჭიროებდნენ სასწრაფო პოსტექსპოზიციურ პროფილაქტიკურ მკურნალობას. ანტირაბიული დახმარებისათვის მომართული ყველა პაციენტისათვის მომზადდა და გადაეცათ ანტირაბიული აცრების სამახსოვრო ბარათი.

გადამდებ დაავადებათა კერებში, (მ.შ. ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარალების) ვიზიტები
ადმინისტრაციული-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

აჭარა, 2015 წელი

ადმინისტრაციულ/ ტერიტორიული ერთეული	ვიზიტი ცოფზე საექვო ცხოველის მიერ დაზარალებულ კერაში, ვაქცინაციის შეწყვეტილ კერაში	ვიზიტი ვეტსამსახურში	გადამდებ დაავადებათა კერაში ვიზიტი	ჯამი
ბათუმი	69	53	416	538
ქობულეთი	80	192	131	403
ხელვაჩაური	15	0	185	200
ქედა	3	61	15	79
შუახევი	4	31	20	55
ხულო	7	22	10	39
აჭარა	178	359	777	1314

2015 წლის განმავლობაში განმავლობაში დაიხარჯა 11 393 კომპლექტი ანტირაბიული ვაქცინა და 2248 კომპლექტი ანტირაბიული იმუნოგლობულინი.

➤ მალარიის საწინააღმდეგო ღონისძიებები

თებერვალ–მარტის თვეში განხორციელდა მალარიოგენული ტერიტორიების პასპორტიზაცია. აჭარის ტერიტორიაზე აღირიცხა 628,83ა, მ.შ. 511,7 ჰა ანოფელოგენური.

ეპიდსეზონის განმავლობაში გამოკვლეული იქნა სულ 3190,32 ჰა წყალსატევი, მ.შ ანოფელოგენური - 2520,94ჰა.

არღიებული/გამოკვლეული ტერიტორიის ფართობი, აჰარა, 2015წ

ქალაქი/მუნიციპალიტეტი	პასპორტიზაციის შედეგები	
	სულ არღიებული ფართობი (ჰა)	მ.შ.ანოფელოგენური (ჰა)
ბათუმი	129,25	119,6
ქობულეთი	418	317
ხელვაჩაური	74	65
ქედა	5,4	5,4
შუახევი	8	5
ხულო	4,36	4,36
ჯამი	639	516,36

ეპიდსეზონის განმავლობაში გამოკვლეული იქნა:

ფიზიკური ფართობი –3149,8ჰა, მ.შ. ანოფელოგენური–2419ჰა,

საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართი– 464 305 კვ.მ.

დაგამზუხირება– 514,1 ჰა ფართის წყალსატევი.

„საქართველოს შავიზღვისპირა საკურორტო ზონაში ტრანსმისიული დაავადებების გადამტანებთან ბრძოლის ღონისძიებების გატარების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის N1000 18.05.2015წ განკარგულების ფარგლებში:

350 კგ ინსექტიციდით (სოლფაკი) ორჯერადად დამუშავდა 350 000 კვ.მ, მ.შ:

ბათუმში – 170 000 კვ.მ

ქობულეთში – 100 000 კვ.მ

ხელვაჩაურში – 80 000 კვ.მ

ცხოვრების ჯანსაღი წესის ხელშეწყობა

➤ თემატურ/საგანმანათლებლო ღონისძიებები:

30 მაისს ჩატარდა კონფერენცია ”იყავი თანამედროვე-აირჩიე ჯანმრთელობა”

28 ნოემბერს –მოსწავლეთა კონფერენცია ”რაც აუცილებლად უნდა იცოდე”.

მონაწილეებს დაურიგდათ სუვენირები, ფლაერები, პოსტერები.

ნარკომანიასთან ბრძოლის მსოფლიო დღესთან დაკავშირებით არასამთავრობო სექტორისა და ნარკოლოგიური ცენტრის თანამონაწილეობით ჩატარდა

შეხვედრა/დისკუსია ქალაქ ბათუმის სკოლების უფროსკლასელებთან, მონაწილეებს გადაეცათ სხვადასხვა სიმბოლური საჩუქრები.

რეგიონის სკოლებსა და ბაღებში ჩატარდა ”ჯანმრთელობის გაკვეთილები”. ამ მიზნით განხორციელდა 177 ვიზიტი, 288 შეხვედრა, 7387 მსმენელი.

მომზადდა ვიდეორგოლები:

- „ C ჰეპატიტი „
- „იმუნიზაცია“
- „თამბაქო“
- „ცოფი“
- „გრიპის პროფილაქტიკა“
- „2016 წლის პროგრამები“

➤ ვაქცინოპროფილაქტიკის ხელშეწყობა

2015 წლის მონაცემებით იმუნიზაციის სამიზნე კონტინგენტის მოცვის მაჩვენებლები სხვადასხვა ანტიგენის მიმართ დიფერენცირებულია ქალაქ ბათუმისა და მუნიციპალიტეტების მიხედვით.

იმუნიზაციის 2015 წლის შედეგები ცალკეული ანტიგენისა და ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეულების მიხედვით

ანტიგენი	ადმინისტრაციულ/ტერიტორიული ერთეული						აჭარა
	ბათუმი	ქობულეთი	ხელვაჩური	ქედა	შუახევი	ხულო	
დიფტერიის კომპ.3მე- დოზა	96	90	92	98	92	96	94
წწყ-1	99	90	96	97	96	98	97
დფტ-R1	94	96	100	98	97	100	97
დტ	89	88	98	99	90	81	91
ტდ	68	88	97	94	84	91	82

ბცქ	95	95		100	100	100	95
ოპვ-3	96	89	92	99	92	99	94
ოპვ-4	86	87	97	100	93	95	90
ოპვ-5	87	88	98	97	96	98	91

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტების მიერ ჩატარდა-ვაქცინოპროფილაქტიკის, ეპიდზედამხედველობის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ხარისხის სრულყოფის, სახელმწიფო პროგრამების ეპიდზედამხედველობითი მხარდაჭერის, სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფაგლებში ღონისძიებათა შესრულების 1066 მონიტორინგი.

ცენტრის მიერ განხორციელებული მონიტორინგი, 2015 წ

№	მუნიციპალიტეტი	ვაქცინოპროფილაქტიკის- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში	ქვეპროგრამის „დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა“ ფარგლებში	ჯამი
1	ბათუმი	274	100	374
2	ქობულეთი	137	58	195
3	ხელვაჩაური	105	16	121
4	ქედა	58	63	121
5	შუახევი	85	43	128
6	ხულო	64	63	127
7	ჯამი	723	343	1066

- ღონისძიება – „მოსახლეობის ავადობის აქტიური გამოვლენა სამიზნე ჯგუფში (ჯანსაღი სკოლა) – 2015 წელი

ღონისძიება მოიცავდა:

- ექიმ სპეციალისტთა ჯგუფის მიერ აჭარის სკოლების 1-8 კლასის მოსწავლეთა და საბავშვო ბაღის აღსაზრდელთა პირველად სკრინინგულ კვლევებს;
- საჭიროების შემთხვევაში წინასწარი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით უფასო ინსტრუმენტულ-ლაბორატორიულ გამოკვლევებს, სკრინინგის შემდგომ კონსულტაციას.
- პროგრამის შედეგების საფუძველზე მონაცემთა ელექტრონული ბაზის შექმნას;
- პროგრამის შედეგების მონაცემთა სტატისტიკურ ანალიზს / ინტერპრეტაციას.

ღონისძიების ფარგლებში დაგეგმილი და შესრულებული ვიზიტები, აჭარა, 2015წ

ქალაქი/ მუნიციპალიტეტი	დაგეგმილი ვიზიტები	შესრულებული ვიზიტები	სკრინინგი გაიარა (ბენეფიციარი)
ბათუმი	249	249	22 967
ქობულეთი	90	90	8 163
ხელვაჩაური	51	51	5210
ქედა	22	22	2 072
შუახევი	18	18	1 718
ხულო	32	32	3 038
ჯამი	462	462	43 168 მ.შ. ბაღის 9744 აღსაზრდელი

პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით ჩატარებული ინსტრუმენტული გამოკვლევები: რენტგენი-259, ექოსკოპია-390, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური გამოკვლევა - 145, ვიზომეტრია 221, ავტორეფრაქტომეტრია-245, ოფთალმოსკოპია-63, სხვა-10.

– სკრინინგის შემდგომი კონსულტაცია-991.

**➤ ღონისძიება– ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში
(სამიზნე ჯგუფი) 2015 წელი**

ღონისძიებით გათვალისწინებულია რეგიონის 0–200 000 მდე სარეიტინგო ქულის ორსულთა გამოკვლევა ფარისებრი ჯირკვლის პათოლოგიების ადრეული გამოვლენის მიზნით:

- ❖ ფარისებრი ჯირკვლის ულტრასონოგრაფიული გამოკვლევა
- ❖ თირეოტროპული ჰორმონის, თავისუფალი თიროქსინის განსაზღვრა
- ❖ ენდოკრინოლოგიის კონსულტაცია

ღონისძიებით ისარგებლა:

1724 –მა ორსულმა, მ.შ. ბათუმში–1455, ქობულეთში –164, ხელვაჩაურში –67, შუახევში –16, ხულოში 22.

➤ ღონისძიება – C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკა გათვალისწინებულია:

„C ჰეპატიტის მართვის პირველი ეტაპის ღონისძიებების უზრუნველყოფის თაობაზე სახელმწიფო პროგრამის" ბენეფიციარებისთვის მკურნალობაში ჩართვამდე და მკურნალობის პროცესის მონიტორინგისათვის აუცილებელი კვლევების თანაგადახდა.

ცენტრის მიერ თანადაფინანსებით უზრუნველყოფილ იქნა მკურნალობაში ჩართვამდე აუცილებელი სულ 1335 კვლევა, მ.შ.

I ეტაპის კვლევა – 580, II ეტაპი – 467, III – 136, IV ეტაპი – 152.

128 ბენეფიციარს ჩაუტარდა მკურნალობის პროცესის მონიტორინგით განსაზღვრული კვლევები, რისთვისაც განხორციელდა მკურნალობის მონიტორინგის 339 კვლევის თანადაფინანსება.

ღონისძიებით სულ ისარგებლა 603-მა ბენეფიციარმა.

**➤ კიბოსა და კიბოსწინა დაავადებების ადრეული დიაგნოსტიკა
მაღალმთიანი აჭარის მოსახლეობაში–2015 წელი**

ღონისძიებით გათვალისწინებულია:

40 ვიზიტი მაღალმთიანი აჭარის მუნიციპალიტეტებში,
თითოეულ ვიზიტზე:

- ონკოლოგიის, რადიოლოგიის კონსულტაცია,
- პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით საჭიროების შემთხვევაში:
- ონკოუროლოგიის, ონკოგიენკოლოგიის, ონკოლარინგოლოგიის კონსულტაცია,

– მამოგრაფია, ციტოლოგიური გამოკვლევა, PSA განსაზღვრა.

მაღალმთიანი აჭარის პირველადი ჯანდაცვის ცენტრების დონეზე შესრულდა 40 ვიზიტი, კონსულტაცია ჩატარდა 1686 ბენეფიციარს, მ.შ ქედაში–12 ბენეფიციარი – 491, შუახევში–12 ბენეფიციარი – 510, ხულოში–16 ბენეფიციარი – 685.

დიაგნოზის დადასტურება:

- ❖ ლარინგოლოგის კონსულტაცია – 406 ბენეფიციარი
- ❖ უროლოგის კონსულტაცია – 430
- ❖ გინეკოლოგის კონსულტაცია – 407
- ❖ PSA განსაზღვრა – 285
- ❖ საკვერცხის ონკომარკერი -CA-125 -392,
- ❖ კუჭ-ნაწლავის ონკომარკერი -CA-19-9-374,
- ❖ კარცინომბრიონალური ანტიგენი - CEA -406,
- ❖ სარძევე ჯირკვლის ექოსკოპია-432.
- ❖ PAPტესტი-57

2015 წლის მე–40 კვირიდან გრიპის სეზონის დაწყებასთან დაკავშირებით სსიპ დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ რისკ-ჯგუფებისათვის მოწოდებულ იქნა გრიპის საწინააღმდეგო ვაქცინა, 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აცრილი იქნა 1551 ბენეფიციარი, მ.შ.: დიალიზზე მყოფი პაციენტი–208, დიაბეტიანი ბავშვი–10, მოხუცებულთა თავშესაფრის მობინადრე – 227, სამედიცინო პერსონალი –1106.

2015 წლის განმავლობაში ანტენატალური მეთვალყურეობის კომპონენტის ფარგლებში სადიაგნოსტიკო ტესტებით გამოკვლეულ იქნა: ბ ჰეპატიტის სადიაგნოსტიკო ტესტით –3479 ორსული, აივ/შიდსის სადიაგნოსტიკო ტესტით – 3382 ორსული, სიფილისის– 3511 ორსული.

ბ ჰეპატიტის საწინააღმდეგო იმუნოგლობულინით იმუნიზირებული იქნა 130 ბავშვი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – აჭარის დასაქმების სააგენტო შეიქმნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის 2011 წლის 13 სექტემბრის N43 დადგენილებით და ის ერთადერთი დასაქმების სახელმწიფო სამსახურია რეგიონის მასშტაბით, რომლის მიზანია აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში დასაქმების სისტემისა და მექანიზმების განვითარების ხელშეწყობა.

სააგენტოს ერთერთ ფუნქციას, წარმოადგენს როგორც, ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამუშაოს მაძიებელთა რეგისტრაცია, აღრიცხვა და მონაცემთა ბაზის შევსება/განახლება, ასევე სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუაშაგლო საქმიანობის ორგანიზება. ამ მიზნით სააგენტოს მიერ 2015 წლის მონაცემებით, განხორციელებული საქმიანობის შედეგად მონაცემთა ერთიან ბაზაში დარეგისტრირდა 2178 სამუშაოს მაძიებელი.

სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირებასა და მათი შრომითი მოწყობის მიზნით საშუაშაგლო საქმიანობის ორგანიზების, მხრივ სააგენტომ 2015 წლის განმავლობაში განახორციელა შემდეგი სახის მომსახურება:

დამსაქმებელთან, კონკრეტული ვაკანსიის მოთხოვნების შესაბამისად გადაიგზავნა მონაცემთა ბაზაში დარეგისტრირებული 4956 პირის რეზიუმე; გასაუბრებაზე გაიგზავნა 1825 სამუშაოს მაძიებელი, ხოლო ინფორმაცია მიეწოდათ და შეთავაზებულ ვაკანსიაზე უარი განაცხადა 1033 - მა.

აღნიშნულ პერიოდში დასაქმების სააგენტოს შუამდგომლობით დასაქმდა 1345 სამუშაოს მაძიებელი

მათ შორის: გრძელვადიან სამუშაოზე - 855

დროებით სამუშაოზე - 195

ერთჯერად სამუშაოზე - 295

სულ 2012 წლიდან 2015 წლის ჩათვლით დარეგისტრირებულია 18 683 სამუშაოს მაძიებელი, მათგან დასაქმდა 10 182.

შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერის კუთხით 2015 წელს დაიწყო მიზნობრივი პროგრამა „პროფესიული გადამზადება“, რომლის მოსარგებლე იყო „სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 130, 35 წლის და ზევით ასაკის 100 პირი და ძალოვანი სტრუქტურის 20 ვეტერანი, სულ ჯამში 250 ბენეფიციარი. ქობულეთის საზოგადოებრივ კოლეჯ „ახალ ტალღაში“, შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილ მოთხოვნად სპეციალობებში, სწავლა დაიწყო 250 - მა, 3 გაირიცხა და დაასრულა სწავლება 247 ბენეფიციარმა. პროგრამის მოსარგებლე პირებმა გაიარეს სამთვლიანი სწავლება მზარეულის, კონდიტერის, სარესტორნო საქმის მწარმოებლის,

სასტუმრო საქმის მწარმოებლის, შემდუღებლის, ამწის ოპერატორის, მძიმე ტექნიკის ოპერატორის, მასაჟისტისა და რკინა - ბეტონის სამუშაოთა მწარმოებლის (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე) პროფესიებზე. გადამზადების შემდგომ დასაქმდა 72 სამუშაოს მაძიებელი.

პროფესია	გადამზადებულთა რაოდენობა
მზარეული	46
კონდიტერი	32
სარესტორნო საქმის მწარმოებელი	21
სასტუმრო საქმის მწარმოებელი	22
შემდუღებელი	20
ამწის ოპერატორი	39
მძიმე ტექნიკის ოპერატორი	47
მასაჟისტი	8
რკინა - ბეტონის სამუშაოთა მწარმოებელი (მეარმატურე, მეყალიბე, მებეტონე)	12
სულ სააგენტოს მიზნობრივი პროგრამის ფარგლებში გადამზადდა	247

ასევე 2015 წელს შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული პროფესიული სწავლების სისტემის განვითარების მხარდაჭერის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი სააგენტოსა და სასწავლო კომპანია „Shadowsec International“- შორის. „Shadowsec International“-ი არის ინგლისური სასწავლო კომპანია, რომელიც ინდივიდუალურ ტრენინგებს ატარებს 4 კონტინენტზე, თემაზე - საინფორმაციო უსაფრთხოება და კიბერ-უსაფრთხოება. მემორანდუმის მიზანია, მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენლისათვის პროფესიული და პიროვნული განვითარების შესაძლებლობა, მათი შრომის ბაზრის თანამდეროვე მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული მომზადება/გადამზადებით, შემდგომი დასაქმებისა და თვითდასაქმების პერსპექტივით. მემორანდუმის ფარგლებში, პატრიკ მაკილვის ხელმძღვანელობით, ბათუმში გაიხსნება Shadowsec International-ის ტრენინგ ცენტრი, სადაც მოქალაქეებს შესაძლებლობა ექნებათ გადამზადდნენ და მიიღონ საერთაშორისო სერთიფიკატები, რომლის საშუალებითაც დასაქმდებიან როგორც ამერიკაში, ასევე ევროპის ნებისმიერ ქვეყანაში.

სააგენტოს ერთერთი ძირითადი მიმართულებაა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა. მიმდინარე წლის აგვისტოდან ნოემბრის ჩათვლით სააგენტოს

თანამშრომლებმა, ევროკავშირის „საქართველოში პროფესიული განათლებისა და დასაქმების რეფორმის ტექნიკური დახმარების ცენტრის“ ორგანიზებით გაიარეს ტრენინგ-სემინარი თემაზე „პროფესიული ორიენტაცია და კარიერული დაგეგმარება“. ტრენინგის მთავარი საკითხები იყო: საბაზისო ცოდნის მიღება პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკასა და მომსახურეობის მიწოდებაზე; სხვადასხვა ქვეყნების წარმატებული პრაქტიკისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გაცნობა; სხვა ქვეყნების პროფესიული ორიენტაციის პოლიტიკა და პოლიტიკის საფუძვლები; გასაუბრების ჩატარებისთვის საჭირო პროცედურების, მიწოდების სხვადასხვა მეთოდების შეფასება და კარიერული სამოქმედო გეგმის განხორციელების გზები. ამავე პროექტის ფარგლებში სექტემბრის ბოლოს, სსიპ აჭარის ა.რ. დასაქმების სააგენტოს თანამშრომლები, სასწავლო ვიზიტით, იმყოფებოდნენ ხორვატიის რესპუბლიკაში. სწავლება კარიერის დაგეგმვის, შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემებისა და სოციალურ პარტნიორებთან თანამშრომლობის საკითხებს დაეთმო.

ასევე სააგენტოს თანამშრომლები იმყოფებოდნენ პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრში, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის (მილენიუმი) საქართველოს პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ ორგანიზებულ სემინარზე - „პროფესიული განათლების სტუდენტების სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება კომპანიებში“ და გაიარეს სამ დღიანი სწავლება.

დასაქმების სფეროში ერთიანი პოლიტიკის გატარების ხელშეწყობის მიზნით, გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტოსა და ა(ა)იპ „დემოკრატიის ინსტიტუტს“ შორის. აღნიშნული მემორანდუმი ითვალისწინებს, აჭარაში, ევროკავშირის მხარდაჭერით, განხორციელებული პროექტის, „დასაქმებაზე ორიენტირებული განათლებისა და განვითარების სისტემის ამოქმედება“ მხარდაჭერას და დასაქმებისა და თვითდასაქმებისთვის საჭირო, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული პროფესიული უნარებისა და საკვანძო კომპეტენციების განვითარების სერვისების შემუშავებას.

აჭარის დასაქმების სააგენტოს ინიციატივით, შეიქმნა „დასაქმების სააგენტოს პარტნიორთა კლუბი“, რომლის მიზანია კერძო, საჯარო, საერთაშორისო, დონორ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის რეგულარული, ინტერაქტიული თანამშრომლობა და ერთიანი კონცეფციისა და გეგმის შემუშავება. კოორდინირებულმა თანამშრომლობამ ხელს შეუწყობს მოსახლეობის ყველა ფენის წარმომადგენელთათვის პროფესიული, საკვანძო კომპეტენციებისა თუ პიროვნული განვითარებისთვის საჭირო პირობების შექმნას, როგორც ბიზნეს გარემოს სრულყოფის, წარმატებული საქმიანობისა და შრომის ბაზრის ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

მოსახლეობისათვის სააგენტოს საქმიანობის, სერვისებისა და 2016 წლის მიზნობრივი პროგრამების უკეთ გაცნობის მიზნით, მომზადდა სოციალური ვიდეო-რგოლი და სარეკლამო ბანერები.

საანგარიშო პერიოდში მუდმივად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს საჯარო და კერძო სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობა, დამსაქმებლებთან სანდო პარტნიორული ურთიერთობის ჩამოყალიბება და დამსაქმებელთა მონაცემთა ბაზის განახლება, საჯარო და კერძო სექტორში არსებული ვაკანსიების თაობაზე ინფორმაციის მოძიება და საზოგადოებისათვის მიწოდება.

სტრატეგიული გეგმა:

მიმდინარე 2015 წელს შემუშავდა სსიპ აჭარის ა/რ დასაქმების სააგენტოს 2016-2019 წლების სტრატეგიული დოკუმენტი, რაც გულისხმობს სააგენტოს 2016-2019 წლებისათვის განსახორციელებელ სამოქმედო გეგმასა და ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს, რომელიც მიმართულია, ადამიანური რესურსების მდგრადი გაუმჯობესების, შესაძლებლობებისა და პოტენცილის განვითარების, ადამიანური რესურსების რაციონალური გამოყენების, ეფექტიანი დასაქმების ხელშეწყობის და სამუშაო ძალის ხარისხობრივი სრულყოფის გზით, შრომის ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის აღმოსაფხვრელად. პოლიტიკის საბოლოო შედეგი უმუშევრობის თანმიმდევრული შემცირება იქნება.